ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 274 (802) | ხუთშაბათი, 30 დეკემბერი, 1993 წელი | ფასი 400 კუპონი.

პირველი სვეტი

ხაშურელთა გულისტკივილი

მოგვეცით სინათლე და პური, — ამას კატეგორიულად მოითხოვს ხაშურის მოსახლეობა და სავსებით სამართლიანად, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ხაშურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ გივი ხვედელიძემ. — თითქმის ერთი თვეა, რაც ხაშურის პურკომბინატი, ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, პარალიზებულია და პურს აღარ აცხობს. ქალაქის მოსახლეობაზე გაიცა ნორმირებული ფქვილი. ვინაიდან გორის წისქვილკომბინატი ვეღარ გვაწვდის საჭირო რაოდენობის ფქვილს, გადავწყვიტეთ სოფლის მოსახლეობას მივაწოდოთ ხორბალი, თუ ამ საკითხს შემდგომი ორგანოები დადებითად გადაგვიწყვეტენ.

პურის კრიზისს ემატება ინფორმაციის კრიზისიც. დენის ხშირი გამორთვის გამო იშვიათი გახდა სატელევიზიო გადაცემები, რასაც ყველა მტკივნეულად განიცდის, — თქვა დასასრულს ხაშურის გამგებელმა.

●

პური ხელმისაწვდომი გახდა...

მოსახლეობაში პურის ნორმირებული, ანუ გარანტირებული განაწილების პრაქტიკამ, რომელიც შემოიღეს თბილისში, ქუთაისში, საქართველოს ზოგიერთ სხვა ქალაქში, გაამართლა იმედები. გაქრა უზარმაზარი რიგები, იკლო ექსცესებმა პურის ქარხნების ახლოს. მეორე მხრივ, — აღინიშნა რესპუბლიკური სასურსათო კომისიის სხდომაზე, — საწვავის დეფიციტის პრობლემა უწინდებურად ართულებს წისქვილკომბინატებში ფქვილის, მაღაზიებში კი გამომცხვარი პურის მიწოდების საქმეს.

კომისიამ დასახა ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს 20 ათასი ტონა ხორბლის თურქეთიდან და 88 ათასი ტონა მარცვლეულის მიღება და დროული გადმოტვირთვა, რომელსაც შეერთებული შტატები გზავნის ჰუმანური დახმარების სახით.

●

ახალი კავშირი

თელავში სტუმრად იმყოფებოდა ზაარბრიუკენის მუშა-სამარიტელთა კავშირის (აზბ) თავმჯდომარე იენც პიკერი. რაიონის გამგეობაში შეხვედრისას აღინიშნა, რომ აზბ — ისევე, როგორც ევროპაში არსებული მსგავსი კავშირები, ოფიციალური სტრუქტურებისა და ყოველგვარი პოლიტიკისაგან შორს დგას. ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა იმ სოციალური პრობლემების გადაჭრა, რომელთა მოგვარებაც სახელმწიფოს სტრუქტურების ჩაურევლად შეუძლია. პირველ რიგში ესაა მედიკამენტებითა და საკვები პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება. შემდგომი საუბარი შეეხო რამდენიმე დღის წინათ ჩამოყალიბებულ აზბ-ს თელავის ორგანიზაციას და მის სამომავლო გეგმებს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საწარმოებისა და ორგანიზაციების (ბიუჯეტზე მყოფთა გარდა) ხარჯზე საწარმოო უბედური შემთხვევების ან მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ

მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაცვის განმტკიცების, დალუპვის ან შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვის შემთხვევაში მათი ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნას საწარმოებისა და ორგანიზაციების (ბიუჯეტზე მყოფთა გარდა) ხარჯზე საწარმოო უბედური შემთხვევებისაგან (დალუპვის, ტრავმის, მოწამვლის, სტიქიური მოვლენების შემთხვევებით დაზარალებისა და სხვა) მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა.

2. სადაზღვევო თანხა განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკაში დაწესებული მინიმალური ხელფასის ოცდაოთხჯერ გადიდებული ოდენობით და სატარიფო განაკვეთი დაწესდეს სადაზღვევო თანხის 1 პროცენტი.

3. ნება დაერთოთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს წლიური დაზღვევის გადასახადები გადაურიცხონ მთლიანად წელიწადში ერთხელ ან ნახევარნახევარი — ორჯერ ყოველი წლის 1 აპრილსა და 1 ნოემბერს, ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

4. დაზღვევის გადასახდელები შეტანილ იქნეს პროდუქციის, მომსახურების თვითღირებულებაში და აისახოს საწარმოო-საფინანსო გეგმასა და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებაში, როგორც საწარმოო ხარჯები.

5. საწარმოებისა და ორგანიზაციების (ბიუჯეტზე მყოფთა გარდა) ხარჯზე საწარმოო უბედური შემთხვევებისაგან მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის განხორციელება დაევალოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანიას. მანვე უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ამ სახეობის დაზღვევის საკითხებზე შესაბამისი ინსტრუქციის გამოცემა და მისი შემსრულებლებისათვის გაცნობა.

6. დადგენილება ძალაში შევიდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

ოთარ ფაცაცია,
საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი.

ხელფასების შეუფერხებელი გაცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ მარცვალზე, ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირზე, აგრეთვე სხვა სახის ენერგეტიკულ რესურსებზე, მასალებსა და პროდუქციაზე ფასების სისტემატურმა მატებამ და მზარდმა ინფლაციურმა პროცესებმა გაართულა და გააჭიანურა რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის შედგენა, განხილვა და დამტკიცება. ეს საფრთხის წინაშე აყენებს ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების მუშაკთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა, აგრეთვე ლტოლვილთა და პენსიონერთათვის ხელფასების, სტიპენდიების, დახმარებების, შემწეობებისა და სხვა ანალოგიური ხარჯების დროულად დაფინანსებას.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის პირველი კვარტალის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებამდე რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების მუშაკთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა, აგრეთვე ლტოლვილთათვის ხელფასების, სტიპენდიების, დახმარებების, შემწეობებისა და სხვა ანალოგიური ხარჯების შეუფერხებელი დაფინანსება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით, დაწესებული პურის საცალო ფასების გადიდებასთან დაკავშირებული კომპენსაცია 6800 კუპონის ოდენობით თვეში ჩაირთოს და გაიცეს ხელფასთან (ძირითად სამუშაო ადგილზე), სტიპენდიასთან, დახმარებასთან, შემწეობასთან, არამომუშავე პენსიონერთა პენსიებსა და სხვა ანალოგიურ გაცემებთან ერთად.

გზები და პრობლემები

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, როგორც იქნა არასრული დატვირთვით, მაგრამ მაინც, ამუშავდა ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა. იგი იმუშავებს დამოუკიდებლად, არ დაელოდება რუსეთის რესპუბლიკის ნედლეულს. ქარხნის სპეციალისტების, ამიერკავკასიის მინერალოგიის ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ერთობლივმა მუშაობამ, რომელიც ნაყოფიერად მიმდინარეობდა წლების მანძილზე, დადებითი შედეგები აჩვენა. ბოლნისის რაიონის ბეგთაკარის ფაიფურის ქვამ შეცვალა კარელიის პეგმატიტი და უკრაინის თიხა, ოზურგეთის რაიონის ტრაქიტებმა, ასკანის ბენტონიტურმა თიხებმა, საჩხერის რაიონის ქვიშამ შეადგინეს ნედლეულის ის ძირითადი წყაროები, რომელთა საფუძველზე ამოქმედდა ქარხანა. წარმატებით განხორციელდა რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი თაბაშირის საწარმოო გამოცდა.

რომ არა თხევადი საწვავიდან აირსაწვავზე გადასასვლელი სამუშაოები, ქარხნის გაზიფიკაციის პრობლემა და მთელი რიგი სარეკონსტრუქციო საკითხები, რომელიც დიდ ფინანსებს მოითხოვს, ქარხანას შეეძლო სრული დატვირთვით ემუშავა. დღეს ფუნქციონირებს მხოლოდ ქარხნის ცხრა მცირე საწარმოო უბანი, სადაც უშვებენ 32 დასახელების პროდუქციას. მართალია, პროდუქცია მცირე რაოდენობით იწარმოება, მაგრამ მას ახასიათებს მაღალი გემოვნება, დახვეწილი ტექნოლოგია, ამასთან მცირე საწარმოო უბნების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლითა და მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება მატერიალური სახსრები.

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქცია უკვე მიეწოდა ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებს.

თამაზ როგავა.

გზად მომავლისკენ!



ჟამი ხარაჩოების ჩამოხსნისა...

რამდენი ხანია იმედით მოელის დიდგორი... თბილისი... ის კი დგას ამაყი, მაღალი, თეთრ ბედაურზე ამხედრებული, შეაწეული მარჯვენით და ხარაჩოების არტახებში გამომწყვდეული გველოდება...

გველოდება გაოცებული, შემცბარი, ჩვენი ბეცობით, გაუტანლობით, ურთიერთსიძულვილით, ძმათა კვლითა და ყაჩაღობით თავზარდაცემული.

— ბოროტებამ იმძლავრა, მეფევ-ბატონო, საქართველოში და ჩვენს სულებშიც, ჯერ იყო მოძმე მოყვარე გადაგვიდგა, თოფ-ზარბაზანი დაგვიშინა, მუხანათურად მახვილი ჩაგვცა ზურგში.

ვაი, რომ შემოგვაკლდნენ შენი გამზრდელი ჰყონდიდელები... მოთარეშე ყაჩაღთა და ხაზინის ქურდების სასპარეზოდ იქცა მამული ჩვენი, მაგრამ...

უკვე აღსდგა, აბობოქრდა, ერთიანდება თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, მთელი საქართველო — უკვე ვეკვეთეთ ბოროტებას. ასე რომ, ჯერ ისევ ომი გვაქვს ფიცხელი, ჯერ არ დაგვდგომია ჟამი მშვიდობისა, ხარაჩოების ჩამოხსნისა, მაგრამ...

დადგება!

დადგება და მოვალთ ძენი და შთამომავალნი შენნი, შემოგხსნით ამ არტახებს და სიამაყით გეტყვით:

— დადგაო, მეფევ; ჟამი სიკეთისა, გამარჯვებისა...
ჟამი ხარაჩოების ჩამოხსნისა!
...შემობრძანდით თბილისს!

სურათზე: უკვე რამდენი წელია სახელოვანი მოქანდაკის — მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნოში ხარაჩოების ჩამოხსნასა და თბილისში დამკვიდრებას მოელის ჩვენი დიდი მეფის — დავით აღმაშენებლის ძეგლი.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

სიმონ კილაძის ფოტოეტიუდი.

იყოს ბედნიერი შენი მობრძანება

ციდან ჩამოისმა ხმანი გალობისა,
წელი მობრძანდება, წელი — წყალობისა.
ფუძე დაგელოცოს, გედგას მადლი ღვთისა,
ერი დაგიწყნაროს საქართველოისა.
გული ალალ გექმნას, სიბრძნე — ტაძრეული,
ენა არ გენახოს მტრისგან დაძლეული.
მოგყვეს სინათლის და აზრის ხმოვანება,
კრძალვით შემოგყურებს ქართლის ხნოვანება.
გულში იმედების ქარი იბადება,
ერი დავითისა დღეს შენ მიგბარდება.
ჰყავი ხორბლისა და აკვნის მოძალება,
იყოს ბედნიერი შენი მობრძანება...

თემურ ჩალაბაშვილი.

ნომერში

- ⊙ გადასახადი და გადამხდელი. 2
- ⊙ ნუ მივცემთ უცხოელებს განუსაზღვრელ უფლებებს. 3

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების — ორდენებისა და მედლების დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 24 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების — ორდენებისა და მედლების დებულების მე-4 პუნქტს სიტყვების — „ხელოვნების დარგებში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის“ — შემდეგ დაემატოს სიტყვები „სპორტული მიღწევებისთვის“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი. 1993 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის წევრებად ვლადიმერ ბალაშვილი და ქართლოს ღარიბაშვილი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 28 დეკემბერი.

ვინ ვის მოერევა კი არა, ვინ ვის მიეშველება!

ჩემო თანამოკალმენო!

მოდის ახალი წელი, ახალი წანა (მეგრულად), ახალი ზომხა (სვანურად). ალბათ კვლავ დავდგამთ ტრადიციულ ჩიჩილაკს.

წლევანდელ წელს იმდენი სისხლი დაიღვარა, იმდენი ლომგული ბიჭი წავიდა ჩვენგან, იმდენმა ქართველმა ჩასცა ქართველს მახვილი, რომ მიდის ეს წელი ზათქით, თქეშით, თქრიალით...

უნდა გავუძლოთ, უნდა შევძლოთ მაინც ფეხზე წამომდგარი შევხვდეთ ახალ წელს. ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი. მტრის ჯინაზე შემოვძახოთ: „ვინ ვის მოერევა კი არა, ვინ ვის მიეშველება, ვინ ვის განეყოფა კი არა, ვინ ვის შეუერთდება...“

ეს რომ შევძლოთ, ხალხმა რომ შეძლოს, ჩვენ — ჟურნალისტები უნდა დავეხმაროთ. ზოგიერთებმა ზოგჯერ ერთმანეთის კვიმატურად მზერას თავი ვანებოთ და მივეშველოთ სიცოცხლის გადარჩენას, სული შევუბეროთ ჩამქრალ ნაღვერდალს, მამულის აღორძინებას, პურ-ღვინის გამოულეველობას, მუხლჩაუხრელ შრომას, მაღალი ზნე-ხასიათის დამკვიდრებას, რამაც საქართველო და ქართველი დღემდე მოიყვანა.

სიტყვა ჩვენზეა თანამოკალმენო! კარგად ვიცით სიტყვის ფასი და ძალა — სულ ცოტა ყოფნის ადამიანს გულის საპოვნელად. ნუ დავაყოვნებთ! თანადგომის სიტყვა ვუთხრათ ხალხს პრესით, რადიოთი, ტელევიზიით... კვლავინდებურად მივაწოდოთ მკითხველს, მსმენელს, მაყურებელს ჩვენი ხელთქმნილი.

გილოცავთ კარსმომდგარ ახალ წელს!

რამდენი სიძნელეც გადაგიტანიათ საგაზეთო მასალისა თუ ტელერადიო გადაცემის მომზადების დროს, იმდენი ძალა და ენერგია შეგმატებოდეთ ახალ-ახალი შემოქმედებითი ძიებისათვის.

ამ ახალ წელს მინდა მერგოს პატივი და ვიყო თქვენი ჯანის სიმრთელის, სულიერებისა და ადამიანური ბედნიერების მქადლე.

პატივისცემით —
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის
თავმჯდომარე — **აკაკი სიხარულიძე.**

კარიკატურისტის თვალით



მხატვარი რომან ქარქუსაშვილი.

საგადასახადო ინსპექცია
# გადასახადი და გადამხდელი
საქართველოს რესპუბლიკა
1993
რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის ყოველთვიური დანართი
№ 7

გამოცდილება

გზა, — სიახლე მოდის!

ამ დღეებში რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის კოლეგიამ იმსჯელა თბილისის კრწანისის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში ჩატარებული ექსპერიმენტის შესახებ, რომელიც ეხება სტრუქტურულ ცვლილებებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ექსპერიმენტმა გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო. პრაქტიკულ საქმიანობაში დაინერგა კონტროლის თანამედროვე მეთოდები და კომპიუტერული ტექნიკა, მოწესრიგდა გადამხდელთა აღრიცხვიანობა, გატარდა სტრუქტურული ცვლილებები, საშტატო ერთეულები დაკომპლექტდა ახალგაზრდა სპეციალისტებით, ორგანიზებული ხასიათი მიეცა კადრების სწავლებას, სისტემატურად იმართება სემინარული მეცადინეობები, დაიხვეწა შემოწმებათა მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა, გაუმჯობესდა თვით შემოწმებათა ხარისხი.

ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებებმა ხელი შეუწყო ინსპექციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. მთლიანად შესრულდა შარშანდელი და წლევანდელი 10 თვის შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზების დავალებები. 1 ნოემბრის მდგომარეობით ინსპექციას ბიუჯეტში ამოღებული აქვს 8,2 მილიარდი კუპონი, რაც გათვალისწინებულს 2,5 მილიარდით აჭარბებს.

სულ უფრო ხშირად ტარდება ერთობლივი შემოწმებები სამართალდამცველ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან. კერძოდ, რაიონის პროკურატურასთან ერთად შემოწმდა 9 ორგანიზაცია, რომელთაც ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხათ 1,4 მილიონ კუპონზე მეტი. შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებასთან ერთად ჩატარებული შემოწმების შედეგებით კი ფირმა „ჯორჯია-92"-ს დამატებით დაერიცხა 3.6 მილიონი კუპონი. ვაჭრობის წესების უხეშად დამრღვევთა და ურჩ გადამხდელთა 8 საქმე გადაეცა სამართალდამცველ ორგანოებს.

ამასთან, როგორც წარმოდგენილმა ანგარიშმა და მუშაობის ადგილზე გაცნობამ ცხადყო, რაიონის ინსპექციის საქმიანობაში ჯერ კიდევ შეინიშნება ცალკეული ნაკლოვანებები. ინსპექციის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა შემოწმებებით მაქსიმალურად ვერ მოიცვეს რაიონის ტერიტორიაზე დისლოცირებული გადამხდელი საწარმოები. შარშან საწარმოთა 84 პროცენტი ფაქტობრივად ინსპექციის მუშაკთა ყურადღების მიღმა დარჩა. წლევანდელ 9 თვეში კი შესაძლებელი გახდა რაიონში რეგისტრირებულ ორგანიზაციათა საერთო რაოდენობის მხოლოდ 12,2 პროცენტის შემოწმება.

ვერ ხერხდება შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით დავალებების შესრულება. მოგებიდან გადასახადის შესრულებამ კოოპერატიული ორგანიზაციებიდან შეადგინა 64 პროცენტი, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან კი მხოლოდ 17 პროცენტი. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობიდან საშემოსავლო გადასახადის დავალება შესრულდა 33 პროცენტით. წყალზე გადასახადისა — 81 პროცენტით, ეკოლოგიური გადასახადი კი მხოლოდ 1 პროცენტით.

გვხვდება ფაქტები, როცა ინსპექცია გაანგარიშებების წარმოუდგენლობისათვის საბანკო დაწესებულებებში არ აჩერებს ანგარიშებს, ხოლო საანგარიშო დისციპლინის დამრღვევი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ ყოველთვის არ იყენებს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ფინანსურ სანქციებს. ამის შედეგად თბილისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ 16 ორგანიზაციას ფინანსური სანქციის სახით დამატებით დაარიცხა 257 ათასი კუპონი.

არასაკმარისია ინსპექციის მიერ გაწეული მუშაობა ნარჩენების აღმოფხვრისა და ლიკვიდაციის საქმეში. 9 თვის შედეგების მიხედვით რაიონში ნარჩენმა 540 მილიონ კუპონს გადააჭარბა, მათ შორის მოგებიდან გადასახადში — 506 მილიონ კუპონს.

ბიუჯეტის მიმართ დავალიანების მქონე ორგანიზაციათა რიცხვის ზრდას იწვევს ისიც, რომ ინსპექციაში სათანადო ღონისძიებები არ ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული დოკუმენტების და შესაბამის ინსტრუქციებში მომხდარი ცვლილებების გადამხდელებამდე ოპერატიულად დაყვანისათვის.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის კოლეგიამ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად კონკრეტული ღონისძიებები დასახა და თბილისის საგადასახადო ინსპექციას დაავალა ექსპერიმენტის შესაბამისად ქალაქის რაიონებში უახლოეს ხანში მოახდინოს სტრუქტურული ცვლილებები.

რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის პრესცენტრი.

ჩვენ კრიალა თბილისი გვინდა

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებს თბილისში საკმაო მუშაობა აქვთ გაწეული მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის ბიუჯეტში მობილიზების უზრუნველსაყოფად. 1 დეკემბრისათვის ამ გადასახადით ბიუჯეტში შეტანილია 59378,0 ათასი კუპონი. ბევრი რამაა გაკეთებული გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვაზე ასაყვანად, ხოლო საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულია სათანადო ზომები. ჩატარებული შემოწმებებით ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულია 55642,8 ათასი კუპონი. საანგარიშსწორებო-საგადასახადო დისციპლინის დარღვევისათვის ოპერაციები ბანკის დაწესებულებებში შეუჩერდა 28 ორგანიზაციას. და მაინც ამ საქმეში არსებობს საკმაო ნაკლოვანებები. კერძოდ:

არ არის საწარმოთა სრული ნუსხა, რომლებიც მავნე ნივთიერებებით გარემოს აჭუჭყიანებენ. თბილისის გარემოს დაცვის კომიტეტის მონაცემებით აღრიცხულია მხოლოდ 221 ორგანიზაცია. ამაში არ შედის კოოპერატივები, მცირე საწარმოები და სხვა არასახელმწიფოებრივი სტრუქტურები. საწარმოთა საერთო რაოდენობიდან ეკოლოგიური პასპორტები აქვს 88 საწარმოს, მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანების ლიმიტები კი, — მხოლოდ 54-ს. დაუდგენელია სრული ნუსხა იმ ობიექტებისა, რომლებიც ინდივიდუალური წესით კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" გვერდის ავლით აწარმოებენ ბენზინის შემოტანასა და რეალიზაციას. ცოტაა ადგილობრივი მმართველი ორგანოების, თბილისის ბუნების დაცვის კომიტეტის, რაიონის საგადასახადო ინსპექციების მიერ განხორციელებული ღონისძიებები მავნე ნივთიერებებით, გარემოს გამჭუჭყიანებელი საწარმოების აღსარიცხავად, მათზე შესაბამისი ლიმიტების დასადგენად და დასაბეგრად.

შემოწმებით დადგენილია: იმ საწარმოებშიც, რომლებსაც დამტკიცებული აქვთ მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანების ლიმიტები, არ არის დაცული მათი დამტკიცების ვადები. ხშირად ასეთი საწარმოები გაანგარიშებებს არ უდგენენ საგადასახადო ინსპექციებს, რის გამოც, 11 თვეში ამ გადასახადებისგან შემოსული თანხები მინიმალურია და 59,4 მილიონ კუპონს შეადგენს. ამის 95 პროცენტი ბენზინის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალია. მთაწმინდის რაიონში მავნე ნივთიერებებით გარემოს გამჭუჭყიანებელი 18 საწარმოდან მხოლოდ 3-ს აქვს ლიმიტი, აქედან, გაანგარიშება წარმოდგენილი აქვს 1 საწარმოს. ჩუღურეთის, ვაკის, საბურთალოს რაიონების არც ერთ ორგანიზაციას, რომელთაც ლიმიტები დამტკიცებული აქვთ, გაანგარიშებები არ წარმოუდგენიათ. ისნისა და დიდუბის რაიონებში შესაბამისად 35 და 24 საწარმოდან მხოლოდ 4-4-ს აქვს დამტკიცებული ლიმიტები. სამგორის რაიონში კი 69-დან მხოლოდ 5-ს. ანალოგიური მდგომარეობაა ნაძალადევისა და გლდანის რაიონებში.

მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანების ლიმიტის დადგენას გარკვეულწილად ართულებს არსებული წესების მოუქნელობა, გადასახდელი თანხის სიმცირე. მაგალითად, თბილისის ავეჯის ექსპერიმენტულ ფაბრიკას, შრომატევადი სამუშაოს შესრულების შემდეგ, გადასახდელად დაუდგინდა 5,8 ათასი კუპონი, ხოლო ისნის ფეხსაცმლის სამკერვალო ფაბრიკას — 18,9 ათასი კუპონი.

საგადასახადო ინსპექციების უმრავლესობას არა აქვს გატარებული საჭირო ღონისძიებები ბიუჯეტის კუთვნილი თანხების შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის უზრუნველსაყოფად. რაიონის გამგეობებთან, ბუნების დაცვის კომიტეტთან და საწარმოებთან მიწერ-მოწერა უმეტესწილად ხდება სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის გამაფრთხილებელი ბარათის მიღების შემდეგ. მათი მუშაობა ძირითადად ამოიწურება იმ თანხების ამოღებით, რომლებზეც გაანგარიშებებია წარმოდგენილი. შემოწმებული რაიონებიდან მხოლოდ კრწანისის, მთაწმინდისა და ისნის რაიონებს აქვთ შეჩერებული ანგარიშსწორების ანგარიშზე თანხების მოძრაობა იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც არა აქვთ წარმოდგენილი ლიმიტები ან გაანგარიშებები.

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური წესით ბენზინით შეზღუდული ვაჭრობა ქალაქის ყველა კუთხეში მიმდინარეობს, ასეთი ობიექტები დაიბეგრა მხოლოდ ისნის, კრწანისისა და მთაწმინდის რაიონებში.

წლის განმავლობაში გამოვლენილია მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა ნავთობპროდუქტების წყალში ავარიული ჩაშვებისა, რის შედეგად ფოლად-თუჯსასხმელ ქარხანას დაერიცხა 71,1 ათასი კუპონი.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის კოლეგიამ, რომელმაც ეს საკითხი განიხილა, არასაკმარისად ჩათვალა თბილისში სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების მიერ გაწეული მუშაობა მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის ბიუჯეტში მობილიზების საქმეში და ქმედითი ზომები დასახა ვითარების გასაუმჯობესებლად.

ბადრი იაშვილი.

აუცილებელი განმარტება

„**ქ. თბილისში** ცალკეული სახეობის ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობაზე ფიქსირებული გადასახადის დაწესების შესახებ" დამტკიცებულ განაკვეთებთან დაკავშირებით თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიის 1992 წლის 22 ოქტომბრის №98 დადგენილებაში მინიმალური ხელფასის ზრდის პროპორციულად მერიის 1993 წლის 3 ივლისის №48 გადაწყვეტილებით, შეტანილია ცვლილებები, რის შესაბამისადაც დამტკიცებულ განაკვეთებზე გავრცელდა კოეფიციენტი 10.8. ამავე გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია წლიური ფიქსირებული გადასახადის ოდენობის შემდგომი ცვლილება შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ცვლილების პარალელურად.

დღეისათვის არსებული მინიმალური ხელფასის განაკვეთის — 23 ათასი კუპონის გათვალისწინებით კოეფიციენტი შეადგენს 27-ს, აქედან გამომდინარე (მაგალითისათვის), კერძო საკუთრების მსუბუქი ავტომობილით მგზავრთა გადაყვანისათვის, წლიური გადასახადი შეადგენს 162 ათას, ხოლო კერძო საკუთრების ავტობუსით, სატვირთო ავტომანქანით მომსახურეობისათვის — 324 ათას კუპონს; ამდენსავე გადასახადს გაიღებენ იჯარით აღებული ავტომანქანის ექსპლოატაციით შემოსავლის მქონე ის მოქალაქეებიც, რომლებიც მოიჯარეს მხოლოდ საიჯარო ქირას უხდიან და მიღებული შემოსავალი საწარმოში არ შეაქვთ.

რეიდებმა გვიჩვენა, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილი, რომლებსაც აქვთ ასეთი შემოსავლები, თავს არიდებენ ბიუჯეტში კუთვნილი გადასახადის გადახდას. ასეთებს შევახსენებთ, რომ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, უნებართვოდ წარმოებული ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მთელი შემოსავალი ბიუჯეტში მთლიანად ამოიღება. ამასთან, საქმიანობის უნებართვოდ წარმოებისათვის მათვე დამატებით დაეკისრებათ ჯარიმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, წლიური გადასახადის 50 პროცენტის ოდენობით.

თბილისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია.

რა მიეცი ქვეყანას

სრული განუკითხაობა

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ცალკე დამოუკიდებელ სამსახურად შექმნას სათანადო პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. იგი ნაკარნახევი იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და კერძო მეწარმეობის განვითარების აუცილებლობით, აქედან გამომდინარე, საგადასახადო ინსპექციის ძირითადი დანიშნულება ის არის, რომ მან მოახდინოს ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მაქსიმალური მოზიდვა, საგადასახადო კანონმდებლობის მტკიცე დაცვა.

შევხვდით და ვესაუბრეთ ზუგდიდის საგადასახადო ინსპექციის ახლადდანიშნულ უფროსს — კოტე წურწუმიას, რომელმაც განაცხადა:

— ზუგდიდის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გაცნობამ ერთ დასკვნამდე მიგვიყვანა, — როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში უგულებელყოფილია საგადასახადო კანონმდებლობა. ამას მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 281 სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციისაგან წლევანდელი 9 თვის ბალანსები და ანგარიშები ინსპექციაში 1 ნოემბრისათვის წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ 6 ორგანიზაციას. სრული განუკითხაობაა კერძო სექტორში, კოოპერატივები, მცირე საწარმოები და ფირმები, რომელთა რაოდენობა ბანკებში გახსნილი ანგარიშების მიხედვით 2100-ს აღემატება, ინსპექციაში არ ადგენენ შემოსავლებზე დეკლარაციებს და დაუბეგრავად არსებობენ.

იმის მტკიცება, რომ ბოლო პერიოდში ზუგდიდში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყოს საგადასახადო ინსპექციაში არსებული დარღვევების ძირითადი მიზეზი, მტკნარი სიცრუეა და ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. როგორც ბუღალტრული მონაცემებიდან ჩანს, საკმაოდ ბევრი კოოპერატივი არც ისე უხეიროდ ეწეოდა კომერციულ საქმიანობას. საგულისხმოა თუნდაც ის ფაქტი, რომ 1992-1993 წლებში სახელმწიფო ჩაის ფაბრიკებიდან სხვადასხვა კოოპერატივების მეშვეობით გატანილია 8.500 ტონაზე მეტი პროდუქცია. ყველა ის კოოპერატივი, ცნობილი იყო საგადასახადო ინსპექციისათვის, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა არ იბეგრებოდა. სამწუხაროდ, აქ ლაპარაკია ბიუჯეტის თანხებზე, ცოტა კი არა, ასობით მილიონებზე.

ისიც აღსანიშნავია, რომ ისინი პირდაპირ ქუჩებში ეწევიან ღია წესით ერთჯერად ვაჭრობას. ასეთი წესით ვაჭრობა მასობრივ ხასიათს ატარებს არამარტო ზუგდიდში, არამედ მთელს რესპუბლიკაში. ამიტომ, კარგი იქნება ცენტრალური ორგანოები თუ დაინტერესდებიან ამ საკითხით და შეიმუშავებენ შესაბამის საგადასახადო კანონმდებლობას.

ომეხ მეგრელიძე.

შეკითხვა

ეს ყველამ უნდა იცოდეს...

გამოიყოფა და გატარდება თუ არა 68-ე ანგარიშზე დამატებითი ღირებულების გადასახადი კერძო პირებიდან შეძენილი მატერიალურ ფასეულობაზე? თქვენ ადრე აღნიშნეთ პრესაში, რომ არ გამოიყოფა. გვაინტერესებს, — ამ შეძენილი მატერიალური ფასეულობით შექმნილ პროდუქციას რეალიზაციის დროს დაერიცხება თუ არა დამატებითი ღირებულება. და თუ დაერიცხება, რატომ არ უნდა გატარდეს შეძენის დროს? გთხოვთ დასაბუთებულ პასუხს. ჩვენ საწვავ-საპოხ მასალებს ვიძენთ კერძო პირებისაგან რესპუბლიკის შიგნითაც და მის ფარგლებს გარეთაც.

აგროფირმა „ჯუგაანის" დირექციის სახელით: **თ. კიკილაშვილი, ი. ზედელაშვილი, ჯ. ლოლაშვილი...**

სიღნაღის რაიონი.

ფიზიკური (კერძო) პირებისაგან შეძენილ მატერიალურ ფასეულობებზე გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადი არ გატარდება 68-ე ანგარიშის დებეტში. ფიზიკური (კერძო) პირები არ არიან დღგ-ს გადამხდელები და ამასთანავე, ფიზიკური (კერძო) პირებისაგან შეძენილ მატერიალურ ფასეულობებზე არ არსებობს მისი ღირებულებისა და შესაბამისად მასზე გადახდილი დღგ-ს იურიდიული დამადასტურებელი დოკუმენტები.

იძებნება

ცამ ჩაყლაპა თუ...

დაკარგულ კაცზე იტყვიან ხოლმე: — ვერ გავიგეთ, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამაო. ჩვენ ცისა და მიწის ჩასაყლაპავად არც კაცი გვემეტება და არც... ორგანიზაცია, მაგრამ... არიან ასეთები. მათ გავლილი აქვთ რეგისტრაცია, მითითებული აქვთ მისამართები. ეგ არის და ეგ... აღარა ჩანან. არც გადასახადი, არც ბიუჯეტი... ცოტაზე ხმას არ ამოვიღებდით. თვლა არა აქვთ. აი, ზოგ-ზოგები:

კოოპერატივები:

„ნაპერწკალი" — უზნაძის 70;
„ნინო" — ტეტელაშვილის 8,
„სტუდენტი-91" — უზნაძის 70;
„ამირანი" — კრილოვის 11;
„კომფორტი" — ბორჯომის 12;
„დიდუბე-92" — თევდორე მღვდლის 7;
„საქართველო" — უზნაძის 72.

მცირე საწარმოები:

„მერი" — ტეტელაშვილის 8;
„არსი" — ბაქოს 6;
„მზიური-91" — მარჯანიშვილის 4;
„ცურტავი" — წინამძღვრიშვილის 183;
„კონტრასტი" — უზნაძის 70;
„კოლხეთი-92" — თევდორე მღვდლის 10;
„ამპირი" — მარჯანიშვილის 8.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები:

„ანტრესი" — თევდორე მღვდლის 10;
„ამარველა" — დგებუაძის 1;
„პანდა" — ხვამლის 14;
„ფენიქსი" — მარჯანიშვილის 8;
„მაია" — წინამძღვრიშვილის 110;
„ცაგარა" — დგებუაძის 1;
„ზოლიონი" — მარჯანიშვილის — 8.

ფირმები:

„სიმშვიდე" — რუსთავის გზატკ. 1;
„მერანი" — მარნეულის 44;
„გუმბათი" — ღოღობერიძის 46;
„იმერეთი" — წინამძღვრიშვილის 186;
„თეა" — კრილოვის 4;
„კვადო" — თევდორე მღვდლის 10;
„ომეგა" — წინამძღვრიშვილის 110.

გვაპატიონ, მაგრამ სერიოზული ხალხი ასეთ „კუკუმალობანას" არ თამაშობს. დროა სამზეოზე გამოვიდნენ!

კოოპერატივი — რა ვჭამო?
ჯ.ზ.

მხატვარი ბესიკ ზუბაშვილი.

ძველი პრესიდან

სულისამომხდელი ბეგარა

გურია. გლეხი ღარიბია, მაგრამ გადასახადებს ყველაზე უფრო მას ახდევინებენ. ეს ეკლესიის დარაჯობა, ეს გზების გაკეთება, ეს ცხენების მიცემა მთავრობის კაცებისათვის, ეს გაგზავნა — ყველაფერი ჩვენს კისერზეა. მემამულეები კი არაფერს აკეთებენ და არხეინად დასეირნობენ.

„მწყემსი", 1905 წ. 28 თებერვალი.

• • •

ქუთაისის მაზრა. სოფ. კონტუეთი. გადასახადებისათვის არბევენ, აწიოკებენ, სულს ხდიან. აგერ ერთი წელიწადია, რაც აქ შუა სოფელში გამოიყვანეს წყლის არხი. ეხლა ამ არხზე დაუდვიათ გადასახადი. ამ დღეებში გადასახადების გულისათვის ოჯახებიდან წაიღეს ნოხები, ქვაბები და ოჯახის სხვა სამკაულები.

„ალი", 1908 წ. 5 ნოემბერი.

• • •

შინაგან საქმეთა სამინისტრო კავკასიის საგუბერნიო სამმართველოთ დაეკითხებია: შეიძლება და საჭიროა თუ არა ქალაქების სასარგებლოთ ველოსიპედებსა და თვითმოძრავ ეტლებზედ გადასახადი იქნას დადებულიო. ყველა საგუბერნიო სამმართველოს ის პასუხი გაუცია, რომ უთუოდ საჭიროა ასეთი გადასახადიო.

„ივერია", 1897 წ. 11 ივლისი.

მხოლოდ ვალუტით

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ამიერიდან მოგების გადასახადის ნაცვლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ყოველთვიურად გადაიხდიან სავალუტო გადასახადს. თბილისში განლაგებული პუნქტებისათვის იგი დადგენილია 100 ამერიკული დოლარის ოდენობით, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სხვა ადგილებში — 70 დოლარის ოდენობით. ორივე შემთხვევაში დაშვებულია ამ გადასახადის გადახდა მისი ეკვივალენტის ოდენობის ნებისმიერი უცხოური კონვერტირებადი ვალუტით. აღნიშნული გადასახადის მთელი თანხის 70 პროცენტი გადაირიცხება საქართველოს სახელმწიფო სავალუტო ფონდში, ხოლო 30 პროცენტი — შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სავალუტო ფონდებში.

როგორც ნათქვამია დადგენილებაში, ეს გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტმა მიიღო ვალუტის გადამცვლელი პუნქტების შემოსავლის დადგენის საქმეში აღრიცხვა-ანგარიშგების მოუწესრიგებლობით, ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობით, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მუშაკთა სიმცირით გამოწვეული სიძნელეების დაძლევის, აგრეთვე, აღნიშნულ პუნქტებში შემოწმებათა რაოდენობის შემცირების, და ბოლოს, სააღრიცხვო და საანგარიშსწორებო დისციპლინის განმტკიცებაში ამ პუნქტების მუშაკთა დაინტერესების მიზნით.

აქციზი ღვინო — არაყზე

საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, დაწესდეს აქციზი ფიზიკური პირებისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებისგან მიღებული ნედლეულით წარმოებულ ღვინო-არაყის პროდუქციაზე. როგორც ნათქვამია ამ დოკუმენტში, ჩვენთან წარმოებული ღვინო-არაყის პროდუქციის აქციზით სრული მოცვის მიზნით, გადაწყვეტილია დაწესდეს იგი ფიზიკური პირებისა (მოქალაქეებისაგან) და საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებისაგან (ორგანიზაციებისაგან) გადასამუშავებლად (ნედლეულის ღირებულების აუნაზღაურებლად) მიღებული ნედლეულით შესაბამისი საწარმოების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, ამ ნედლეულის გადამუშავების ღირებულების მიმართ (დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით), ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას დაევალა დაუწესოს კონტროლი ბიუჯეტში ამ დადგენილებით გათვალისწინებული შემოსავლის სრულ და დროულ გადარიცხვას. მან უნდა შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუქცია მოქალაქეებისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებისაგან გადასამუშავებლად მიღებული ნედლეულით წარმოებულ ღვინო-არაყის პროდუქციაზე აქციზის გამოანგარიშებისა და ბიუჯეტში მისი ჩარიცხვის შესახებ.

დიდი დასაწყისი

ახლახანს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონთა პაკეტი საგადასახადო სისტემის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით 29 დეკემბერს საქართველოს ვიცე-პრემიერი ამირან ქადაგიშვილი შეხვდა რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის აპარატის მუშაკებს. შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდა ინსპექციის უფროსი დავით სალარიძე. შემდეგ გაიმართა გულახდილი საუბარი ახლადმიღებულ კანონებზე, მათი უცილობელი შესრულების ამოცანებზე. აღინიშნა, რომ საგადასახადო ინსპექცია იწყებს მუშაობის ახალ ეტაპს, რომელმაც საგრძნობი ბიძგი უნდა მისცეს ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების გადიდებას, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების საქმიანობის წახალისებას. ყოველივე ამან კი სოლიდური წვლილი უნდა შეიტანოს ეკონომიკის გაჯანსაღებაში, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაში. გადაწყდა, ასეთივე შეხვედრები მოეწყოს სამინისტროებში, უწყებებში, ადგილობრივ საგადასახადო ინსპექციებში, რათა ამ კანონებმა დროულად და ეფექტიანად „იმუშაონ"!

ბიუჯეტის განსამტკიცებლად

დღეს, როცა საქართველოს ეკონომიკა ძირეული განახლების გზას ადგას, უპირველეს მნიშვნელობას იძენს საგადასახადო დისციპლინის განმტკიცება, — რესპუბლიკის ბიუჯეტის გაჯანსაღება.

სწორედ ამ მიზნით რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელები უკვე სისტემატურად მართავენ რეგიონულ თათბირებს. სენაკისა და ქუთაისის შემდეგ ამგვარი შეხვედრები გაიმართა გორსა და გურჯაანში.

რეგიონული თათბირების მუშაობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსი დავით სალარიძე.

●

ეხმარებიან ხიზნებს

საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში გაიმართა შეხვედრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის კოლეგებთან. თბილისში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე ისინი გარემოსილი იყვნენ თავიანთი კოლეგების ზრუნვითა და ყურადღებით, რომლებიც შეეცადნენ არა მარტო დახმარებოდნენ მათ მოწყობილიყვნენ თბილისში, არამედ განეგრძოთ მუშაობა სპეციალობით აქაურ საგადასახადო ინსპექციებში.

აი, ამჯერადაც შობისა და ახალი წლის წინ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის კოლექტივმა გულთბილი მილოცვა მოუწყო თავის 32 ხიზან კოლეგას — თითოეულ მათგანს შეძლებისდაგვარი მატერიალური დახმარება გაუწია.

ცვლილებები ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადში

1993 წლის 1 ნოემბრიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვა) ნაცვლად აქამდე არსებული 9200 კუპონისა განისაზღვრა თვეში 23000 კუპონით.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 3 დეკემბრის № 842 დადგენილებით სათანადო ცვლილებები შეიტანა ადრე დამტკიცებულ ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დროებით დებულებაში.

დაწესდა, რომ მუშა-მოსამსახურეთა და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვა შემოსავლები პურის კომპენსაციის ჩათვლით თვეში 30.000 კუპონის ოდენობით, მიღებული მათ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე, არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

დადგინდა, რომ მოქალაქეებზე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გაცემული დახმარების თანხები გადასახადით არ იბეგრება წელიწადში 200.000 კუპონამდე, ხოლო საჩუქრების (ნივთ-პრემიების) ღირებულების თანხები წელიწადში 65.000 კუპონამდე.

შეიცვალა გადასახადის განაკვეთები, კერძოდ, მოქალაქეთა შემოსავლები მიღებულ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე გადასახადით იბეგრება შემდეგი ოდენობით:

თვიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
30.000-დან 200.000 კუპონამდე	30.000 კუპ-ზე მეტი თანხის 12%
200.001-დან 300.000 კუპონამდე	20.400 კუპ. + 200.000 კუპ-ზე მეტის 15%
300.001-დან 500.000 კუპონამდე	35.400 კუპ. + 300.000 კუპ-ზე მეტის 20%
500.001-დან 600.000 კუპონამდე	75.400 კუპ + 500.000 კუპ-ზე მეტის 30%
600.001-დან და მეტი	105.400 კუპ. + 600.000 კუპ-ზე მეტის 40%

ამ განაკვეთებით გადასახადს იხდიან მუშები, მოსამსახურეები და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებული გადამხდელები ხელფასის, პრემიების, ჯილდოების და მათ მიერ შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა გასამრჯელოსა და მონაცემების თანხების მიხედვით, რასაც ისინი იღებენ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან, როგორც ძირითადი სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილიდან.

არაძირითად სამუშაო ადგილზე ერთჯერადი და სხვა სამუშაოს შესრულებისათვის, მათ შორის შეთავსებით მუშაობისათვის მოქალაქეთა მიერ მიღებული შემოსავლები გადასახადით იბეგრება შემდეგი ოდენობით:

თვიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
180.000 კუპონამდე	შემოსავლის თანხის 10 პროცენტი
180.001-დან 200.000 კუპონამდე	18.000 კუპ. + 180.000 კუპ-ზე მეტის 12%

200.001-დან და მეტი თანხიდან გადასახადი გამოიანგარიშება ძირითად სამუშაო ადგილას შემოსავლების გადასახადით დაბეგვრისათვის გათვალისწინებული განაკვეთებით.

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების; მათ შორის აღმოჩენათა, გამოგონებათა და სამრეწველო ნიმუშების ავტორთა საავტორო გასამრჯელოს თანხებიდან გადასახადი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
2.160.000 კუპონამდე	შემოსავლის თანხის 10%
2.160.001-დან 2.400.000 კუპონამდე	216.000 კუპ + 2.160.000 კუპ-ზე მეტის 12%
2.400.001-დან 3.600.000 კუპონამდე	244.800 კუპ. + 2.400.000 კუპ-ზე მეტის 15%
3.600.001-დან 6.000.000 კუპონამდე	424.800 კუპ. + 3.600.000 კუპ-ზე მეტის 20%
6.000.001-დან 7.200.000 კუპონამდე	904.800 კუპ. + 6.000.000 კუპ-ზე მეტის 30%
7.200.001-დან და მეტი	1.264.800 კუპ. + 7.200.000 კუპ-ზე მეტის 40%

ამავე განაკვეთებით გადასახადით იბეგრებიან იმ ავტორთა მემკვიდრეების მიერ მემკვიდრეობით მისაღები საავტორო გასამრჯელოს თანხები, რომელთა ნაწარმოებები, თარგმანები, აღმოჩენები, გამოგონებები ან სამრეწველო ნიმუშები გამოიყენება პირველად.

მნიშვნელოვნად შემცირდა სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების, აგრეთვე სხვა ისეთი შემოსავლების გადასახადით დაბეგვრის განაკვეთები, რომლებიც არაა დაკავშირებული შრომითი მოვალეობის შესრულებასთან. ასეთი შემოსავლებიდან გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი განაკვეთებით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
2.400.000 კუპონამდე	იმ გადასახადის ტოლი ოდენობით, რომელსაც მუშა-მოსამსახურეები, იხდიან შესაბამისი რაოდენობის თვეებისათვის ამ დროებითი დებულების მე-8 მუხლის განაკვეთების მიხედვით თუ არა აქვს ძირითადი სამუშაო ადგილი, ან ამ დროებითი დებულების მე-15 მუხლის განაკვეთების მიხედვით იმ შემთხვევაში თუ აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი
2.400.001-დან 3.600.000 კუპონამდე	244800 კუპ. + 2.400.000 კუპ-ზე მეტის 15%
3.600.001-დან 6.000.000 კუპონამდე	424.800 კუპ. + 3.600.000 კუპ-ზე მეტის 20%
6.000.001-დან 7.200.000 კუპონამდე	904.800 კუპ. + 6.000.000 კუპ-ზე მეტის 30%
7.200.001-დან და მეტი	1.264.800 კუპ. + 7.200.000 კუპ-ზე მეტის 40%

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან და სხვა თვიური შემოსავლების გადასახადით დაბეგვრისას დაუბეგრავი მინიმუმი 30.000 კუპონი და გადასახადის ახალი განაკვეთები გამოიყენება 1993 წლის 1 ნოემბრის შემდეგ მუშაობისათვის მიღებულ განაცემებზე, ხოლო დანარჩენი კატეგორიის გადამხდელებზე, რომლებიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან წლიური შემოსავლის მიხედვით, ახალი განაკვეთები გამოიყენება მთელ წელზე. წლიური შემოსავლების მიხედვით დაბეგრილი ის პირები, რომლებმაც საქმიანობა შეწყვიტეს 1993 წლის 1 ნოემბრამდე, მიღებული შემოსავლის მიხედვით გადასახადით დაიბეგრებიან ამ დრომდე მოქმედი განაკვეთებით და მათზე ახალი განაკვეთები არ გავრცელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო მდგომარეობის ზონაში

ზუგდიდი: მძიმე პრობლემათა წინაშე

ამის წინათ ზუგდიდის კულტურის სასახლეში გაიმართა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საწარმო-დაწესებულებათა, მეურნეობათა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები, სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერები, რომლებმაც საფუძვლიანად განიხილეს ზუგდიდში არსებული პრობლემები და დასახეს მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხანია ზუგდიდში ასეთი ღრმა, საქმიანი, ანალიზური ღონისძიება არ ჩატარებულა. ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ედიშერ ჩარგაზიამ, პრინციპულად განიხილა ამ რეგიონში ადრე შექმნილი და ამჟამად არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, 7 ნოემბრიდან, რეგიონში სამთავრობო ჯარების შემოსვლის შემდეგ აღდგენილი ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის მიერ ჩატარებული მუშაობა. აღინიშნა, რომ ყოფილი ხელისუფლების ყაჩაღური ბანდები ბოლო ორი წლის განმავლობაში სჩადიოდნენ სისხლის სამართლის დანაშაულებებს, თითქმის დაანგრიეს ქალაქის სახალხო მეურნეობა. მათ ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს სასტუმროებს „ოდიში“ და „ეგრისი“, ყოფილი პრეფექტურის ხუთსართულიანი შენობა, ქალაქის სკოლა-ინტერნატი, სავაჭრო ცენტრი, პოლიციის ორი სამსართულიანი შენობა, სამხედრო კომისარიატი, შემნახველი ბანკისა და კომუნალური მეურნეობის შენობები. ეგრეთ წოდებული „პარტიზანული ბრძოლების“ დროს სიცოცხლეს გამოასალმეს ათეულობით უდანაშაულო ქართველი ვაჟკაცი. საგანგაშოა, რომ ისინი დღესაც აგრძელებენ 2 წლის წინათ დაწყებულ არაკაცურ საქმეებს, ეგრეთ წოდებული „ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტმა“, რომელმაც, სამწუხაროდ, ზუგდიდში ჰპოვა თბილი სავანე, ყველაფერი გააკეთა, რათა დაერბია ქალაქის ყველა საწარმო-დაწესებულება, მაგრამ ამაზე პასუხს არავის სთხოვდა, რადგან მილიციის სამმართველო პრეზიდენტყოფილის მომხრეებით იყო სავსე, ხოლო საზოგადოება, მისი აქტივი, ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია, ფაქტობრივად პარალიზებული იყო.

მაგრამ დღეს სიტუაცია შეიცვალა. მოთხოვნათა დონე საგრძნობლად ამაღლდა. ლოდინის ყველა დროც ამოიწურა. ამჟამად, საგანგებო მდგომარეობის პირობებში, გამგეობა ყველაფერს აკეთებს, რათა განმტკიცდეს ლეგიტიმური ხელისუფლება და ცხოვრება ნორმალურად წარიმართოს, საბოლოოდ აღმოიფხვრას ზვიადიზმის ნაშთები ამ რეგიონში. და ბუნებრივია, ეს მოითხოვს საზრიან, გონიერ და უკომპრომისო მოქმედებას, საგანგებო მდგომარეობის შესაბამისი რევოლუციური ღონისძიებების გატარებას.

ქალაქის გამგეობამ პირველი დღიდანვე დაიწყო განუხრელი ბრძოლა წესრიგის დამყარებისა და საკომენდანტო საათის დაცვისთვის. წარმატებით მიმდინარეობს ბანდებისაგან რეგიონის გაწმენდის პროცესი. ერთობლივი ძალებით გამოვლენილია და აყვანილია ყაჩაღთა და მძარცველთა დიდი ჯგუფები. მათთან შებრძოლების დროს ადგილზე იქნა ლიკვიდირებული 15-მდე ბანდიტი, ამოღებულია 300-მდე ცეცხლსასროლი იარაღი.

საყურადღებოა ისიც, რომ საკომენდანტო რეჟიმის დარღვევისთვის ადმინისტრაციულ პატიმრობაში იმყოფება 60-მდე პირი. დააპატიმრეს თვითმარქვია ხელისუფლების მიერ დანიშნული მშენებლობისა და ვაჭრობის მინისტრები დ. მეუნარგია და რ. უჩანეიშვილი.

უკანასკნელ პერიოდში რეგიონში შექმნილი განუკითხაობის სულისჩამდგმელნი იყვნენ სოფლების საკრებულოთა გამგებლები, რომლებიც დანაშაულისთვის აქეზებდნენ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეჩერდა რაიონისა და სოფლების საკრებულოთა უფლებამოსილება. გათავისუფლდნენ გამგებლები და ყველგან შემოღებულია გამგეობის მმართველობა, რაიონის 30 სოფელში დაინიშნა ახალი გამგებლები, რომლებიც უნდა გახდნენ სოფლების შემობრუნების, ახალი ცხოვრების დაწყების თავკაცები.

ცნობილია, რომ ზუგდიდის რაიონის ეკონომიკის ხერხემალი მეჩაიერობაა, მაგრამ ორი წელიწადია ეს ძვირ-ღირებული კულტურა სათანადო ყურადღების გარეშე რჩებოდა. წლეულს 40 ათასი ტონის ნაცვლად მხოლოდ 9400 ტონა მოიკრიფა.

დამაფიქრებელია, რომ რაიონში სრული განადგურების პირზეა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. მართალია, წლეულს 5,5 ათას ჰექტარზე დაითესა სიმინდის კულტურა, მაგრამ მოსავალი მთლიანად მოსახლეობამ მიითვისა, რასაც, ალბათ, სათანადო ანალიზი და შეფასება სჭირდება.

გამგეობას განზრახული აქვს ძირითადად შეინარჩუნოს მომგებიანი საზოგადოებრივი მეურნეობები, აგრეთვე შექმნას აგროფირმები, აგროკომბინატები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ფერმერული მეურნეობები. მთავარია გონივრულად და კანონიერად გადაწყდეს მიწის საკითხი, რისთვისაც სათანადო სამსახურებმა უკვე დაიწყეს ზრუნვა.

კრებაზე ხაზი გაესვა იმ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას, რომლებმაც არ დაიცვეს სახალხო-საზოგადოებრივი ქონება და თავიანთი უნიათობით ხელი შეუწყეს მის განადგურებას. ითქვა, რომ ისინი გათავისუფლდნენ სამუშაოდან და მათ შესახებ მასალები გადაეგზავნა პროკურატურას.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სახალხო განათლების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თითქმის არც ერთი დაწესებულება არ მუშაობდა, მაგრამ ამაზე, ამ სისტემის მესვეურები, როგორც იტყვიან, ყურსაც არ იბერტყავდნენ. სწორედ ამიტომ შეცვალა გამგეობამ განათლების დარგის ხელმძღვანელობა.

კრებაზე ითქვა, რომ ამჟამად ყველაზე მტკივნეული და სათუთი საკითხი ლტოლვილებთან მუშაობაა. უკანასკნელი მონაცემებით ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში 60 000-ზე მეტი ლტოლვილია, რომელთა საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაც კი ჭირს, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, მათ ყურადღება არ აკლიათ. უკვე დაიწყო და მიმდინარეობს დახმარებისა და პენსიების გაცემა.

როგორც ვხედავთ, ზუგდიდის გამგეობის წინაშე მრავალი ამოცანა დგას. ამიტომ იგი ცდილობს, რაც შეიძლება ფართოდ შემოიკრიბოს გამოცდილი, კვალიფიციური მუშაკები და ჩააბას ისინი სხვადასხვა კომისიებში, ამით კიდევ უფრო დემოკრატიული გახადოს მმართველობის სამსახურები. აქტიურად დაიწყო მუშაობა მრჩეველთა საბჭომ. განიხილეს ქალაქისა და რაიონის საწარმოთა რესურსების გამონახვისა და მათი ამუშავების, ენერგეტიკული ბალანსის შედგენის, პრივატიზაციის სადღეისო პრობლემები.

ხაზგასმით ითქვა, რომ მოსახლეობასთან ალღოზიარობით მუშაობაში გამგეობას უნდა დაეხმარონ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სამწუხაროდ, ახალგაზრდობაზე და მოსახლეობაზე დღესაც დემაგოგიურ ზემოქმედებას ახდენენ პრეზიდენტყოფილის მომხრე ძალები. რა თქმა უნდა, მათი პროვოკაციული გამოხდომები უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. მას უნდა დაუპირისპირდეს ზნეობრივი, დასაბუთებული არგუმენტები. ამ ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს ახალგაზრდების ეროვნულ ჯარში გაწვევაზე.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვაჟა ფირფია, კომუნალური მეურნეობის დირექტორი ნუგზარ მალაშხია, ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ნონა ნასიძე, საწარმოო-გაერთიანება საქქალაქმრეწვის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მურმან ნაჭყებია, განათლების განყოფილების გამგე მიმოზა თოდუა, სამხედრო კომისარი გია კუტალია, ქალაქის პროკურორი დ. ჭკადუა და სხვები, რომლებმაც პრინციპულად ილაპარაკეს თავიანთ სამოქმედო უბნებზე არსებული მდგომარეობის შესახებ და წამოაყენეს საქმიანი, კონსტრუქციული წინადადებები. კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს არ დაკარგონ ამ ეტაპზე მიღწეული მონაპოვარი, არ შეანელონ მუშაობის ტემპი, განამტკიცონ წესრიგი და გააგრძელონ მუშაობა როგორც ეს შეჰფერის რეგიონში შექმნილ საგანგებო მდგომარეობას.

ოდიკ ქუხილავა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პრეზიდენტის პირველი მოგზაურობა ევროპაში

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი თეთრ სახლში მოსვლის შემდეგ პირველად მიემგზავრება ევროპაში, რუსეთსა და ბელარუსსაც ეწვევა. პრეზიდენტის ვიზიტი დაიწყება ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, 10-12 იანვარს მონაწილეობას მიიღებს ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრაში. 12-15 იანვარს პრეზიდენტი მოსკოვს ჩაფრინდება და მოლაპარაკებას გამართავს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინთან. შემდეგ იგი მინსკში გაემგზავრება. როგორც ამერიკელი მიმომხილველები აღნიშნავენ, მოსკოვში განიხილავენ რუსეთში რეფორმების გასატარებლად ამერიკისა და დასავლეთის დახმარების საკითხებს. როგორც რადიოსადგური „თავისუფლება“ აღნიშნავს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა განაცხადა, რომ მოსკოვში განიხილავენ ორი ქვეყნის პარტნიორობისა და თანამშრომლობის გაფართოების სამომავლო საკითხებს. ამერიკელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მოსკოვში აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებთან ერთად საგანგებო ყურადღებას დაუთმობენ მრავალეროვანი ძალების „ცხელ წერტილში“ გამოყენების საკითხებს. რუსეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ხაზს უსვამენ პრეზიდენტ კლინტონის სიტყვებს: „ნაკლები შოკი, მეტი თერაპია“. აღნიშნავენ აგრეთვე, რომ პრეზიდენტი ბილ კლინტონი აპირებს ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილედ თავისი უახლოესი მეგობრის, საგანგებო დავალებათა ელჩის სტროუბ ტელბოტის დანიშვნას, რომელიც კურატორობდა რუსეთთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის საკითხებს. ეს დავალება მას ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგაც ექნება, რაც მეტყველებს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ შეერთებულ შტატებში ყოფილ საბჭოთა „იმპერიაში“ შექმნილ ვითარებას. მოჰყავთ ტელბოტის სიტყვები, რომ რუსეთმა საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოს ეკონომიკისა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს.

გამოხმაურება აშგაბატის შეხვედრაზე

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურების აშგაბატის შეხვედრა საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ერთ-ერთი მთავარი თემაა. გერმანული გაზეთი „ნოიე რურ-ცაიტუნგი“, კერძოდ წერს: „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა მისი არსებობის 2 წლის მანძილზე მხოლოდ ახლა იწყებს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისაკენ სვლას, უფრო მეტიც, ახლა უკვე შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ თანამეგობრობა გახდა მსოფლიო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. ნიშანდობლივია, რომ თანამეგობრობის განვითარება იმგვარად მიმდინარეობს, როგორითაც ევროპის კავშირი, რაც მართებულია, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით არ არსებობს ველოსიპედის ხელახლა აღმოჩენის არავითარი საჭიროება“. მეორე გერმანული გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ წერს: „გონივრული დასკვნები, რომლებიც თავისთავად გამოიტანა პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკამ ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის გარდა, ის არის, რომ თითოეული მათგანი მარადჟამს მოიპოვებს მხოლოდ ამგვარ კავშირში. და რომ ეს აისახა თანამეგობრობის წევრი 12 ქვეყნის გადაწყვეტილებებში, რომლებმაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი აირჩიეს უახლოესი ექვსი თვის მანძილზე თანამეგობრობის თავმჯდომარედ და რომ ეს სქემა ძალიან წააგავს ევროპის კავშირის სტრუქტურას, ისევე, როგორც თანამეგობრობის სხვა გადაწყვეტილებები. ნათელი ხდება, რომ ამ კავშირმა თავის ნიმუშად დასავლეთ ევროპის ინტეგრაცია აირჩია. მაგრამ მორიგებანი თავდაცვის სფეროში, და ეს ნათლად გამოჩნდა, უწინარეს ყოვლისა, მოსკოვზეა ორიენტირებული. თუ შევადარებთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პერიოდს და ქაოსური განვითარების გასულ ორ წელიწადს, ამჟამად შეიმჩნევა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონსოლიდაციის პირველი ნიშნები. საგულისხმოა, რომ თანამეგობრობის ჭერქვეშ დაბრუნდნენ ის ქვეყნებიც კი, რომლებსაც თავდაპირველად ამის გაგონებაც არ სურდათ. ამჟამად თანამეგობრობის ქვეყნებს არ შეუძლიათ ჩამოსცილდნენ რუსეთს, ვინაიდან ძალზე მჭიდროა მათი ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთდამოკიდებულება. ამიტომ გონივრული გადაწყვეტილებაა შექმნან ნათელი და მკაფიო სტრუქტურები და ამით თავიდან აიცილონ თანამეგობრობას კრიზისები“.

გამოკითხვის შედეგები

გელაპის ინსტიტუტმა ავსტრიაში ჩაატარა გამოკითხვა: რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი დასახელებულია უცხოეთის ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად, რომლის მოღვაწეობამ განსაკუთრებული კვალი დაამჩნია 1993 წლის პოლიტიკურ ცხოვრებას. რესპონდენტების თითქმის 59 პროცენტმა უპირატესობა ბორის ელცინს მიანიჭა. ხაზს უსვამენ რუსეთის პრეზიდენტის როლს 1993 წლის ოქტომბერში მოსკოვის მოვლენებთან დაკავშირებით, აგრეთვე რუსეთის ახალი კონსტიტუციის შემუშავებაში.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 11 ნოემბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	68,531.27	კუპონი
ავსტრიული შილინგი	8,550.70	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	153,450.00	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	28,963.94	კუპონი
გერმანული მარკა	60,177.96	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	53,641.74	კუპონი
დანიური კრონი	15,405.71	კუპონი
100 იტალიური ლირა	6,106.83	კუპონი
კანადური დოლარი	77,120.42	კუპონი
ნორვეგიული კრონი	13,869.16	კუპონი
აშშ დოლარი	102,300.00	კუპონი
ფინური მარკა	17,973.42	კუპონი
ფრანგული ფრანკი	17,447.46	კუპონი
შვედური კრონი	12,350.06	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	70,893.82	კუპონი
10 იაპონური იენი	9,183.21	კუპონი
ეკიუ	116,233.15	კუპონი
10 ესპანური პესეტა	7,325.07	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	4,187.98	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	146,524.45	კუპონი
ისლანდიური კრონი	1,428.26	კუპონი
კუვეიტური დინარი	343,865.82	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	598.06	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	5,892.71	კუპონი
სინგაპურული დოლარი	64,117.57	კუპონი
10 თურქული ლირა	72.19	კუპონი
100 რუსული მანეთი	8400	კუპონი
ლიტვური ლიტი	26,810.28	კუპონი
ლატვიური ლატი	173,423.88	კუპონი
ესტონური კრონი	7,696.92	კუპონი
1000 უკრაინული კარბოვანეცი	7024	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	14,952.00	კუპონი
მოლდავეთის ლეი	38,786.96	კუპონი
ყირგიზეთის სომი	13,012.44	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

თამბაქო—ქვეყნის სამსახურში

ნუ მივცემთ უცხოელ ინვესტორებს განუსაზღვრელ, ექსკლუზიურ უფლებებს, სტრატეგიულ ნედლეულსა და პროდუქციაზე დავაწესოთ სახელმწიფო მონოპოლია, რათა ისინი შეუზღუდავად გამოვიყენოთ რესპუბლიკის ინტერესებისათვის

აქტუალური ინტერვიუ

ამ დღეებში გამოქვეყნდა სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულება ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად კონკრეტული სამოქმედო პროგრამების შექმნის თაობაზე, ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა **საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური გაერთიანება „საქთამბაქოს“ უფროსს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს შოთა ჩხეიძეს.**



— ბატონო შოთა, გავიგე, რომ თქვენ მთავრობას შესთავაზეთ თურქმენეთის გაზის საფასურის დასაფარავად თამბაქოს ნაწარმიც გამოიყენონ. როგორც ვიცი, სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ამ პროგრამაში ძირითადად ჩაის იყენებდნენ. როგორ ფიქრობთ, ექნება თამბაქოს რაიმე უპირატესობა?

— უდაოდ. ჩვენს რესპუბლიკას თურქმენეთისთვის უნდა მიეწოდებინა 12 ათასი ტონა ჩაი, რაც დაფარავდა 36 მილიონი დოლარის გაზის საფასურს. სამწუხაროდ, სახელმწიფო რესურსებში ამ რაოდენობის ჩაი ვერ მოხვდა და ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ ნახევრად შესრულდა. ვვარაუდობთ, რომ დარჩენილი 6 ათასი ტონა ჩაის საფასურს — 12 მილიონ დოლარს — 720 ტონა თამბაქოს უფილტრო სიგარეტი დაფარავს. რაც შეეხება გადაზიდვის ხარჯებს, აქაც დიდი ეკონომია შეიძლება მივიღოთ. თუ ჩაის გადაზიდვას 350 ვაგონი ჭირდება, სიგარეტს 70 ვაგონიც ეყოფა. ასე რომ, მარტო ტრანსპორტის ხარჯებში 250 მილიონ მანეთზე მეტს შევინარჩუნებთ, თანაც 5 ათას ტონა ჩაის დავზოგავთ, რაც შეიძლება სახელმწიფომ სხვა მიზნით გამოიყენოს.

— მაგრამ გვაქვს კი საკმარისი თამბაქოს ნედლეული?

— ამ პროგრამის დაწყება უახლოეს პერიოდშიც უმტკივნეულოდ შეიძლება, თუ ყირგიზეთიდან 1.500 ტონა ჩაის ნაცვლად (რაც ხელშეკრულებით უნდა მოგვეწოდებინა) ამდენივე რაოდენობის თამბაქოს გამოგვიგზავნიან. სამწუხაროდ, ეს ხელშეკრულება არ შესრულდა, რადგან სახელმწიფო რესურსებში არსებული ჩაი მთლიანად თურქმენეთის გაზის პროგრამას მოხმარდა.

— ჩვენ კი ვთავაზობთ, მაგრამ თურქმენეთი არის კი დაინტერესებული ჩვენი თამბაქოს პროდუქციით?

— ინტერესი, სხვათა შორის, ჩაიზე ბევრად დიდია. საქმე ის არის, რომ თურქმენეთი ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ერთადერთია, რომელსაც თამბაქო არც მოჰყავს და არც თამბაქოს მრეწველობა გააჩნია. რესპუბლიკა, რომლის მოსახლეობა 4,5 მილიონია, მოთხოვნილებას შემოტანილი სიგარეტით იკმაყოფილებს. განსაკუთრებით აინტერესებთ უბრალო, უფილტრო სიგარეტი („ასტრა“, „პოლიოტი“). ამის გამოუყენებლობა დღეს, ვფიქრობ, არა მარტო უყაირათობა, არამედ დანაშაულიც იქნება. სწორედ ეს დაედო საფუძვლად ზემოაღნიშნულ პროგრამას.

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თქვენს წინადადებას თვით თურქმენეთიდან თუ ვინმე გამოეხმაურა?

— რასაკვირველია. დეკემბერში გაზის დავალიანებასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოსული იყო თურქმენეთის დელეგაცია, რომელსაც საკუთარი ინიციატივით შევხვდი და წინასწარი ოფიციალური შეთანხმებაც დავდეთ: თურქმენეთი „კლირინგის“ წესით გაზის საფასურის სანაცვლოდ 1 კოლოფ სიგარეტს 0,5 დოლარად ჩაგვითვლის. იანვარში მათი წარმომადგენლები ჩამოვლენ და სამთავრობო დონეზე საბოლოო ხელშეკრულებაც, ალბათ, მაშინ გაფორმდება.

— კონკრეტულად რა ვალდებულება შეგიძლიათ იკისროთ ამ პროგრამის შესრულებაში?

— გაზის საფასურის დაფარვის პროგრამაში იმ მოცულობით ჩავერთვებით, რის შესაძლებლობაც გვექნება და რასაც გადაწყვეტს რესპუბლიკის მთავრობა, ისე, თუ ხელის შეწყობა იქნება, თამბაქოს შეუძლია მთლიანად დაფაროს თურქმენული გაზის საფასური — 336 მილიონი დოლარი. საჭიროა მხოლოდ ამ მიზნით გამოიყოს 13-14 ათასი ტონა თამბაქო. დღეს ეს შეუძლებელია (მოსავალი 7-8 ათას ტონას არ აღემატება) მაგრამ უნდა გაფართოვდეს თამბაქოს წარმოების მოცულობა იმ ვარაუდით, რომ ადგილობრივი მომხმარებლის მოთხოვნილება (6-7 ათასი ტონა) დავაკმაყოფილოთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ კიდევ ამ 10 წლის წინათ (1983 წელს) საქართველოში 23 ათასი ტონა თამბაქო მოჰყავდათ. ასე რომ, თუ ხელშეწყობა იქნება, დასახული პროგრამის შესრულებას წინ ვერაფერი დაუდგება.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— ფულადი სახსრები. თუ მთავრობა კრედიტის აღებაში დაგვეხმარება, რასაც სხვადასხვა ქვეყნები გვთავაზობენ, მაშინ საშუალება გვექნება მეთამბაქოეობის რაიონების (ასევე არატრადიციულისაც) მოსახლეობა თამბაქოს მოყვანით დავაინტერესოთ.

კერძოდ, საჭირო იქნება თამბაქოს ნედლეულის მწარმოებლებს ეგრეთ წოდებული „ფუჩერსების“ წესით კონტრაქტის გაფორმების დღიდან პერიოდულად მივცეთ ფული (თესვის წინ, ჩითილის გადარგვის, ფოთლების შეტეხვისას და საბოლოოდ მოსავლის ჩაბარებისას). საჭიროა აგრეთვე მათი უზრუნველყოფა შხამქიმიკატებით, სასუქებით, სხვა საჭირო მასალებით. ყოველივე ეს უხვი მოსავლის გარანტიას შექმნის.

— მაგრამ ამჟამად არის კი თამბაქოს პლანტაციების გადიდების საშუალება?

— რასაკვირველია, არის. დღეისათვის რესპუბლიკაში თამბაქოს უჭირავს სახნავი ფართობის 0,5 პროცენტი. ეს ციფრი თავისუფლად შეიძლება 1,5 პროცენტამდე ავიყვანოთ, სოფლის მეურნეობის სხვა სტრატეგიული კულტურები კი სრულებითაც არ დავაზარალოთ.

— რა გარანტია გაქვთ, რომ გლეხი მოწეულ მოსავალს სახელმწიფოს ჩააბარებს?

— ამის გარანტიას იძლევა მწარმოებლებთან დადებული საკონტრაქტო ვალდებულება, „ფუჩერსების“ ავანსად გაცემული ფული, ის, რომ თამბაქოს ნედლეულსა და მის პროდუქციაზე უნდა დაწესდეს სახელმწიფო მონოპოლია. სახელმწიფოს უნდა შეეძლოს თამბაქო გამოიყენოს იმ მიზნით, რასაც ქვეყნის ინტერესები უკარნახებს.

— დღეს დიდ იმედებს ამყარებენ საზღვარგარეთელ ინვესტიციებზე. თქვენ რა აზრის ბრძანდებით?

— ამ საკითხს ძალიან ფრთხილი მიდგომა სჭირდება. მათი უმრავლესობა, სარგებლობს რა ჩვენი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, მოითხოვს მონოპოლიურ, ეგრეთ წოდებულ ექსკლუზიურ უფლებებს ნედლეულსა და პროდუქციაზე, წარმოადგინეთ! არა მარტო მასზე, რასაც თვითონ აწარმოებს, არამედ სხვის დამზადებულზეც კი, ასეთი კონტრაქტები კატეგორიულად უნდა აიკრძალოს. როგორ შეიძლება მონოპოლიის უფლება მივანიჭოთ უცხოელს, რესპუბლიკა კაბალურ პირობებში ჩავაგდოთ და ჩვენს ტერიტორიაზე მოწეული ნედლეული და მისგან დამზადებული პროდუქცია ჩვენივე მიზნებისათვის ვერ გამოვიყენოთ (მაგალითად, გაზზე, ხორბალსა და სხვა სტრატეგიულ პროდუქტებზე გასაცვლელად). უცხოელ ინვესტორებს საშუალება უნდა მივცეთ სახსრები დააბანდონ ახალი საწარმოების შექმნის, ძველის რეკონსტრუქციისათვის, მათ შეუძლიათ შემოიტანონ ნედლეული, დაამზადონ პროდუქცია და მონოპოლიური უფლებებიც მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე გაავრცელონ (ასე ხდება რუსეთში, ისრაელში და სხვაგან). სხვათა შორის, მომავალში ჩვენთან საერთაშორისო ტიპის სასიგარეტო ნედლეულის საკმაო რაოდენობით მოყვანაც შეიძლება, რითაც ისინი თავიანთი საწარმოსათვის ნედლეულის ბაზას თვითონვე შექმნიან.

— ამას წინათ გერმანელებთან გაფორმდა ხელშეკრულება (ტელევიზიითაც გადმოიცა). როგორ ფიქრობთ, ისიც კაბალური ხომ არ არის?

— სწორედ რომ ასეა. ფირმა „გრაფ ფონ ბრუნის“ შემოთავაზებული წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი მართლაც მონოპოლიურ უფლებებს გვიყენებს. სამწუხაროდ, ამ მოლაპარაკებაში თამბაქოს დარგის ხელმძღვანელობას მონაწილეობა არ მიუღია. უნდა ვიზრუნოთ, რომ ძირითადი ხელშეკრულების შედგენისა და ხელმოწერის დროს მაინც ეს ექსკლუზიური პირობები აუცილებლად გამოირიცხოს. სხვა შემთხვევაში გაზის ვალის დაფარვის პროგრამა (ასევე სხვა შესაძლებელი პროგრამებიც) ჩაიშლება, რადგან სახელმწიფო რესპუბლიკაში წარმოებული ნედლეულისა და პროდუქციის სურვილისამებრ გამოყენების უფლებას დაკარგავს.

დღეს გარკვეული პერიოდით, უფილტრო სიგარეტის წარმოების გადიდება გვაინტერესებს, სანამ ამის მოთხოვნილება და ბაზარი არსებობს. ამის პარალელურად თბილისის მშენებარე ფაბრიკაში შესაძლებელია უცხო ინვესტორის დახმარებით საერთაშორისო ტიპის სიგარეტების წარმოებაც. ძირითადად კი ჩვენი სიგარეტით დაინტერესებულ რესპუბლიკასთან — თურქმენეთთან უნდა ვითანამშრომლოთ. საჭირო ნედლეული ადგილზევე მოვიყვანოთ, თუმცა არ შეიძლება იმის გაუთვალისწინებლობაც, რომ ყირგიზეთს დიდი მოთხოვნილება აქვს ჩაიზე და ყოველთვის გაგვიცვლის მას თამბაქოზე. ესეც არ უნდა გავუშვათ ხელიდან — ჩაი ყირგიზეთში გამოვიყენოთ, თამბაქოს ნაწარმი კი თურქმენეთში. ამასთან ერთად, ამ პროდუქტებზე ჩვენი ხალხის მოთხოვნილებაც არ უნდა დაგვავიწყდეს.

— ერთი კითხვაც: გჯერათ, რომ თქვენი წინადადება განხორციელდება?

— მინისტრთა კაბინეტის სასურსათო კომისიამ ეს წინადადება მოიწონა და მიზანშეწონილად ცნო გაზის ვალის დასაფარავად გამოიყენოს თამბაქოს პროდუქცია. იგი ჩაისვა კიდეც თურქმენეთის პროგრამაში, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ უკვე გადადგა ნაბიჯი ყირგიზეთთან სახელმწიფო ხელშეკრულების აღდგენის თაობაზე. მთავრობამ მოგვცა კრედიტის ნაწილი (10 მილიარდი კუპონი) სახელმწიფო რესურსებში თამბაქოს შეტანის მიზნით ადგილობრივი ნედლეულის შესასყიდად. მაგრამ საჭიროა 100 მილიარდ კუპონამდე (ნაღდი თანხა), სხვაგვარად მეთამბაქოეობის რაიონებში არსებული თამბაქო (5 ათასი ტონა) არ დამზადდება, არსებული პროგრამის რეალიზაციისათვის გარსიდან საჭიროა გამოიყოს უცხოელ ინვესტორთა მიერ შემოთავაზებული კრედიტის ნაწილი 5-6 მილიონი დოლარის რაოდენობით, რომელიც მოხმარდება თამბაქოს ნედლეულის ბაზის შექმნას.

შეიძლება ამით დაგვემთავრებინა, მაგრამ დამატებით ორიოდე სიტყვის თქმა ვამჯობინე. საქმე ეხება ჩვენს გალატაკებულ ქვეყანას, დამშეულ ხალხს და უმოქმედო მთავრობას, რომელთაც წაქცეული ეკონომიკის ფეხზე წამოსაყენებლად უამრავი რეზერვი და საშუალება (ეს ამ წერილიდანაც ჩანს) ვერ გამოიყენეს.

ჩანს, ყველაფერს მარტო აფხაზეთში თავსმოხვეულ ომს ვერ გადავაბრალებთ. ფაქტია, შინაომსა, ურთიერთქიშპობასა და თანამდებობისთვის ბრძოლაშიც უამრავი დრო გავფლანგეთ. უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობისას არ ვიჩენთ სიფრთხილეს (საქვეყნოდ გახმაურებული ამერიკული „ვიდეოტელის“ მაგალითი), რაც ქვეყნის ეკონომიკას კაბალურ პირობებში აყენებს.

ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. მთავრობამ, სამინისტროებმა, დარგებმა, როგორც ჩანს, ახლა მაინც უნდა გამოიტანონ დასკვნები, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების შესაბამისად შეიმუშაონ ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტული პროგრამები და დაიწყონ მოქმედება, ნამდვილი საქმის კეთება. მოქმედება, საქმე და მხოლოდ საქმე თუ მოასულიერებს ჩვენს დადამბლავებულ ეკონომიკას.

ოთარ ხუციშვილი.

ქველმოქმედება

ჩვენი საერთო საზრუნავი

ყველასთვის ცნობილია, რა უმძიმესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შექმნილი დღეს ჩვენს რესპუბლიკაში. დიდი ხნის განმავლობაში ფაქტობრივად საქართველო ბლოკადაში იმყოფებოდა, აღარ შემოდიოდა სურსათი, საწვავი და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონელი. ყოველივე ამან ძალზე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენი მოქალაქეები, განსაკუთრებით — პენსიონერები, ინვალიდები, ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილები, მრავალშვილიანი და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახები.

ალბათ, მტკიცება არ უნდა იმას, რომ პენსია, რომლის ოდენობა საშუალოდ არ აღემატება 10 ათას კუპონს, ერთი-ორი დღის სამყოფი, უხორცო სადილის დამზადებას თუ გასწვდება. სწორედ ამის მიზეზია, რომ ქალაქის ქუჩებში, მოედნებზე და ხალხის თავშეყრის ადგილებში უამრავ მათხოვარს ნახავთ. გულის მომკვლელი სანახაობაა ბაზრებში, დაერდომილი მოხუცი გამყიდველს ერთ ცალ კარტოფილს, ან ხახვს რომ სთხოვს. ვაი, რომ, ყოველთვის არ აკმაყოფილებენ მათ თხოვნას. არადა, ეს პენსიონერები, მათხოვრები ღვაწლმოსილი ადამიანებიც არიან: პედაგოგები, მუშები, მოსამსახურეები, სწორედ გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამემამულეთა დახმარების ხელის გაწვდენა, შემწყნარებლობა, შემწეობა, მფარველობა, გულმოწყალება ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ამ მხრივ, შესაძლებლობები გააჩნიათ რესპუბლიკის საწარმოებს, სახელმწიფო და კომერციულ სტრუქტურებს, კონცერნებს, საზოგადოებებსა და ცალკეულ ბიზნესმენებს.

ღატაკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ჩვენს მოქალაქეთათვის მეურვეობის, დახმარების გაწევის და ამ საქმის საერთო ხელმძღვანელობის მიზნით, 1989 წელს რესპუბლიკაში შეიქმნა მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი. თავისი მოღვაწეობის არცთუ ისე დიდი ხნის მანძილზე, ფონდის დამფუძნებელთა შენატანების, ცალკეულ მოქალაქეთა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოწირულობების ხარჯზე, აგრეთვე ჰუმანური დახმარების სახით უსასყიდლოდ მიღებულმა კვების პროდუქტებმა და მედიკამენტებმა შესაძლებლობა მოგვცა მრავალი ათასი გაჭირვებულისთვის გაგვეწია მატერიალური და სამედიცინო დახმარება, რომელიც რამდენიმე მილიონი მანეთის ოდენობით განისაზღვრება, ანალოგიურ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა ჩვენი ფონდი სამხედრო კონფლიქტების ზონებში: სამაჩაბლოში, აფხაზეთში, და მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი ამავე სახელწოდების საერთაშორისო ფონდის წევრია. ამასთან, ჩვენი ფონდი მოწყალების საერთაშორისო ევროპული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი და მისი ორგკომიტეტის წევრიც არის, რაც ხელს უწყობს უფრო ეფექტიანად განახორციელოს რესპუბლიკაში ჰუმანური ღონისძიებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა ფონდმა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიიღო რამდენიმე ასი ათასი დოლარის ღირებულების სურსათი და მედიკამენტები.

მიუხედავად ასეთი დახმარებისა, გაჭირვებაში ჩავარდნილი მოქალაქეთა სოციალური დაცვის საკითხები მოითხოვს უფრო მეტ მზრუნველობასა და ყურადღებას. მით უმეტეს, ახლა, როდესაც ყოველდღიურად სულ უფრო მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც უკიდურესად მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ (უსახლკაროდ დარჩენილი ლტოლვილები, დაჭრილ-დასახიჩრებულები, ნერვულ-ფსიქიკური სტრესგადატანილები და სხვა).

ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკაში წარმოიშვა მრავალი ახალი ორგანიზაცია, რომლებმაც მიზნად დაისახეს აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა სოციალური დაცვა. ამრიგად, რესპუბლიკაში იქმნება სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი სექტორი. ასე რომ, მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი ფაქტობრივად აღარ წარმოადგენს სოციალური დაცვის ერთადერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, როგორსაც ის წარმოადგენდა მისი შექმნის დასაწყისში.

რესპუბლიკაში არცთუ დიდი ხნის წინათ მომხდარმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებამ უარყოფითად იმოქმედა მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდზეც. ჩვენმა ფონდმა, ფაქტობრივად, დაკარგა პირველადი დამფუძნებლების მხარდაჭერა და თანადგომა, რის გამოც, იძულებულები ვართ, ვეძებოთ ფინანსური შემოსავლების სხვადასხვა ახალი წყაროები, რასაც ვიყენებთ ქველმოქმედებისათვის. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხარჯზე შეღავათების შეზღუდვამ და გამუდმებულმა ინფლაციამ მნიშვნელოვნად გააუარესა როგორც საწარმოების, ასევე ფონდის ფინანსური მდგომარეობა. ჩვენს მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად უარყოფითად მოქმედებს ის გარემოებაც, რომ ჯერ არ არის მიღებული და დამტკიცებული საქველმოქმედო მოღვაწეობის იურიდიული საფუძვლები.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ჩვენი მუშაობის სრულყოფისათვის ვეძებთ ახალ ფორმებსა და მეთოდებს, კერძოდ, საქმიან კონტაქტებს ვამყარებთ რესპუბლიკის კომერციულ სტრუქტურებთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. ჩვენს ფონდს გათვალისწინებული აქვს მოსკოვში მოწყალებისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო ფონდთან გახსნას თავისი წარმომადგენლობა, რაც ხელს შეუწყობს უფრო ოპერატიული ურთიერთობების დამყარებას სხვადასხვა ორგანიზაციებთან და საქართველოს დიასპორასთანაც.

მოწყალებისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ამჟამად მუშავდება მეთოდიკა ჩვენს პირობებში ე. წ. ფონდრაიზინგის დანერგვისათვის, რომელიც ფართოდ გამოიყენება ცივილიზებულ ქვეყნებში და ითვალისწინებს მოსახლეობის მიერ საქველმოქმედო შემოწირულობათა მობილიზაციას.

რესპუბლიკაში საქველმოქმედო საქმის გაუმჯობესებისათვის უნდა დაიჩქარდეს უფლებრივი აქტების მიღება, რომლებიც დაამტკიცებენ რესპუბლიკაში საქველმოქმედო მოღვაწეობის იურიდიულ საფუძვლებს და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მათ მხარდაჭერაში.

იმ მიზნით, რომ როგორც ჩვენი, ასევე სხვა ფონდებთან არსებული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებები დანიშნულებით, წესდების შესაბამისად, მოხმარდეს საქველმოქმედო საქმიანობას, საჭიროა მიიღონ დადგენილება მათი გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ. ამასთან, სახელმწიფომ მიიღოს კანონი იმ პირთა წახალისების შესახებ, რომლებმაც საქველმოქმედო საქმიანობაში დიდი წვლილი შეიტანეს, ან პირადი დანაზოგებით დახმარება გაუწიეს ფონდებს.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ვთხოვთ, უმოკლეს ვადებში განიხილოს და გადაწყვიტოს ის საკითხები, რომლებიც განუხორციელებელი დარჩა მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის შექმნისას. კერძოდ, ამ ფონდისათვის სასამსახურო შენობის გამოყოფისა და საჭირო ორგტექნიკითა და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ.

ასევე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდს გამოეყოს სპეციალური შენობა (სასურველია, რომელიმე ნაკლებად დატვირთული საავადმყოფო, ან ყოფილი პარტიული აპარატის შენობა-ნაგებობა), რათა შესაძლებლობა შეიქმნას, იქ გავხსნათ მოწყალებისა და ჯანმრთელობის სახლი თავისი 200-საწოლიანი ლაზარეთით, ამბულატორია-პოლიკლინიკა, დღის სარეაბილიტაციო სანატორიუმი, მარტოხელა ინვალიდ-პენსიონერებისათვის უფასო სასადილო.

რესპუბლიკის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, პენსიების ისეთ დონემდე გადიდების შესახებ, რომ შეესაბამებოდეს საბაზრო ფასებს და მინიმალურად მაინც აკმაყოფილებდეს პენსიონერთა მოთხოვნილებებს.

დაბოლოს, ღრმა პატივისცემითა და მოკრძალებით გვინდა ვთხოვოთ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ეკლესიების მსახურთა მეშვეობით, მოუწოდონ მორწმუნეებს დახმარების ხელი გაუწოდონ გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამოძმეებს.

თეიმურაზ თოფურია,
საქართველოს რესპუბლიკის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

ინფორმაცია 93

[illegible]

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ფალსიფიცირებული შამპანურის რეალიზაციის ფაქტზე ამხილეს ფირმა „ლაშა-გიორგის“ პრეზიდენტი ანზორ მათიაშვილი და „ისნის“ ბაზართან მდებარე კოოპერატივ „კოხტას“ თავმჯდომარე ლევან ლობჟანიძე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ავსტრიიდან ჩამოვიდა ჰუმანიტარული ტვირთი — 27 ყუთი მედიკამენტები, ერთჯერადი შპრიცები, ანტიბიოტიკები, სხვადასხვა ქირურგიული პრეპარატები, სულ 40.000 დოლარის ღირებულების. ამ დახმარებას ორგანიზაცია გაუკეთა მუსიკოსმა ირაკლი გოგიბედაშვილმა, რომელიც 10 წელია ავსტრიაში მუშაობს.

მედიკამენტები გადაეცა ჯანდაცვის სამინისტროს.

კულტურის სამინისტროს კი გადაეცა 15 ყუთი ტანსაცმელი — აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ვიცე-პრემიერ ავთანდილ მარგიანის ხელმძღვანელობით ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა თურქეთის რესპუბლიკაში. დელეგაციის წევრები შეხვდებიან თურქეთის ოფიციალური და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. გაიმართება მოლაპარაკებები. საქართველოში შემოიტანენ ხორბლის პარტიას.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ინტერფაქსის ცნობით, რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი და პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი იანვარში საქართველოს ეწვევიან. ვარაუდობენ, რომ ხელმოწერილ იქნება შეთანხმებები და მსხვილმასშტაბიანი ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შესახებ. დოკუმენტში ხაზგასმული იქნება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა. მასში აისახება ასევე, ავტონომიური რესპუბლიკების უფლებანი, — ამის შესახებ განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ანატოლი ადამიშინმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 28 დეკემბერს მარნეულის რაიონის მოსახლეობას შეხვდნენ რაიონის ხელმძღვანელები და აზერბაიჯანისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები. შეხვედრის შედეგად, გზებზე მოიხსნა პიკეტები, დაძაბულობა განიმუხტა. დღეისათვის რაიონში სიმშვიდეა.

ᲤᲝᲗᲘ. ქალაქში კრიმინოგენული ვითარება კვლავ დაიძაბა. ცხვება პური, მოსახლეობას დაურიგდა ნორმირებული პურის ფქვილი. ლტოლვილთა რიცხვი ქალაქში თითქმის ყოველდღე იზრდება. მათ შეძლებისდაგვარად ეხმარება სახელმწიფო და ნიკო ნიკოლაძის ფონდი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 27 დეკემბერს, ღამით, ზესტაფონის რაიონის პოლიციის განყოფილების ოპერატიულმა ჯგუფმა განახორციელა ოპერაცია, რის შედეგადაც დააკავეს სოფ. კლდეეთის „სამმოს“ წევრები. დაკავებულებს ჩამოართვეს სახნავი ტრაქტორები, მაცივარი, „რაფისა“ და „კამაზის“ მარკის მანქანები, ოქროულობა, ორი ავტომატი, ტყვიამფრქვევი, საბრძოლო ვაზნები, საშუალო სკოლიდან გატაცებული ორი პიანინო, დიდი რაოდენობით ჩაი, საოჯახო ნივთები, „სამმოს“ წევრების მიერ გაძარცული ზესტაფონის სატელევიზიო ანძის ნაკეთობანი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ განცხადება გააკეთა. მასში დაგმობილია გალის რაიონში წლეულს დეკემბერში აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადენილი ბარბაროსული აქტები. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბანდიტებმა სასტიკად აწამეს 150 კაცი, დაწვეს და გაანადგურეს 1.210 საცხოვრებელი სახლი, გააპარტახეს მთელი რეგიონი. განცხადებაში მტკიცე პროტესტია გამოთქმული გალის რაიონში მომხდარ ახალ ტრაგედიასთან დაკავშირებით.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ღრმავდება ეკონომიკური კონტაქტები რუსეთისა და საქართველოს დედაქალაქებს შორის. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა მოსკოვის ხელმძღვანელობის მიერ გამოცემული დადგენილება რუსეთის ფედერაციის დედაქალაქსა და თბილისს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაგრძელების შესახებ. მოსკოვი მოამარაგებს თბილისს ფქვილით, შაქრით, ცხიმებით, კარტოფილით, ბურღულეულით, ხოლო საქართველოდან გაიგზავნება ღვინო, კონიაკი, შამპანური, მინერალური წყლები, მანდარინი და ჩაი.



ესკიზი

მოთმინებითა ჩვენითა...

იმედს გვაძლევს მხატვარი გიორგი ქლიბაძე

ᲪᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ გალაღებული არასდროს ყოფილა გიორგი ქლიბაძე — ჩემი იურა — შესანიშნავი მხატვარი და მამულის მოჭირნახულე. აბა, განსაჯეთ: სამოც წელიწადს მიტანებული შემოქმედი აგერ, ახლა აჯახირებს სახელოსნოს...

მერე რაო, — ამბობს, — იმედი არ უნდა გადაგვეწუროსო... როცა ძალიან გამიჭირდება, როცა სული დამიმძიმდება და აღარც ხატვა მინდა და აღარაფერი, მივიხედ-მოვიხედავ, მეგობრებს დავუძახებ, მწირ პურმარილს იმერულად გავალამაზებ, ვისაუბრებთ, ბაბთიან გიტარასაც ავაღუღუნებ და ხვალის იმედიც აკიაფდებაო...

არადა, თითქოს, რა იმედი უნდა ჰქონდეს: ამ ცოტა ხნის წინათ, „სპილენძზე მონადირეებმა“, ერთიანად გაფცქვნეს მისი დიდებული სკულპტურული კომპოზიცია — „იმერეთის ბარაქა“, შროშასთან, გორაკზე წამომართული, მიდამოს რომ ამშვენებდა...

* * *

გიორგი ქლიბაძემ სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი დაამთავრა აპოლონ ქუთათელაძის, დიმიტრი ხახუტაშვილისა და კოკი მახარაძის ხელმძღვანელობით, მაგრამ სახელოსნო არ ჰქონდა და დიმიტრი ხახუტაშვილმა „საარსებო წყარო“ მოუძებნა — გამომცემლობა „ნაკადულში“ მიიყვანა, ანუ გრაფიკას დააკავშირა. ცხადია, ახალგაზრდა მხატვარში, გრაფიკოსის ნიჭსაც გრძნობდა ღვაწლმოსილი პედაგოგი. ისე ყველაფერი კეთილად აგიხდეთ: ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრების“ გაფორმებით გიორგი ქლიბაძემ სრულიად ახალი სიტყვა თქვა ქართული წიგნის გრაფიკაში.

თუ ციცქნა გულადი ბიჭის ამბავმა ასე ნიჭიერად მოთხრობილმა დიდი ინტერესი მარტო უმცროსი ასაკის მკითხველებში როდი გამოიწვია, ეს ახალგაზრდა მხატვრის — გიორგი ქლიბაძის უდაო დამსახურებაც იყო. პირადად მე, ალექსანდრე ბანძელაძის „მაუგლის“ შემდეგ, „დაჩის“ დონეზე გაფორმებული საბავშვო წიგნი ქართულად, მგონი, არცკი შემხვედრია.

მაინც რით გვატკბობდა ეს მხატვრობა? უაღრესად მშობლიური ბუნების ფერადოვნებით, ქართული ფოლკლორის ღრმა ცოდნით, ხაზების სინატიფითა და დახვეწილობით; აქ გაიდეალებული იყო ყოველივე, რაც კი ამ ცისქვეშეთში ჩვენს არსებობას უკავშირდება. საერთოდ, გიორგი ქლიბაძის ყოველი ნამუშევარი, გრაფიკა იქნება ეს, ფერწერა, კედლის მხატვრობა თუ. ქანდაკება, ქართული იერ-სახით იწონებს ხოლმე თავს, ანუ ზედმიწევნით ჰგავს მის ავტორს — სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ შემოქმედს.

ჰოდა, ახლაც, ამ შეხვედრაზეც, მთელი საათი ქვეყნის სატკივარზე, საქართველოს დღევანდელ უბედურებაზე საუბრობდა.

— იცი, რამ დაგვღუპა, ჩემო ვილენ?... კუთხურმა პროვინციალიზმმა დაგვღუპა... მე კახელი ვარ... მე იმერელი ვარ... მე გურული ვარ... მე მეგრელი ვარ... ამან დაგვღუპა... ეს ღუპავდა საქართველოს ყოველთვის და, მეშინია, ახლაც ამან არ მოგვიღოს ბოლო... რა კარგად ამბობს შოთა ნიშნიანიძე... თქვენთან დაიბეჭდა: „მე აფხაზი რას მიზამდა, მტერი ნახევარი მუჭა, ერთმანეთის მოსაკლავად ხმალი რომ არ ჩაგვებღუჯა“... რუსთაველზე რომ ბარიკადის აქეთ-იქით მხარეს დადგა ქართველი, აი, იქიდან დაიწყო ყველაფერი... ახლა რა... უნდა, როგორმე ჭკუას მოვეგოთ, უნდა გავუძლოთ... ყოველივე მოვითმინოთ... ახლა, შენ მეტყვი — მეტი რაღა უნდა მოვითმინოთო, მაგრამ ერს, ჭეშმარიტ ქართველობას მეტიც მოუთმენია სამშობლოს გადარჩენისათვის... ასე ნელ-ნელა უნდა ავმაღლდეთ სულიერად, დავამკვიდროთ ზნეობა... ღმერთმა ნუ ქნას, სინათლე არ გამოჩნდეს... სწორედ ერთიანი ძალისხმევით უნდა დაიწყოს სასიკეთო შემობრუნება ახლა. 1994 წელს (რომელსაც წინასწარ ვულოცავ ყველა ჭეშმარიტ ქართველს)... ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უნდა დაიწყოს... როგორმე უნდა შევეშველოთ წუწუნს ჩვენს ქართველობაზე — „ეს რა ცუდები ვყოფილვართ“... „აი, თურმე, ვინ ვყოფილვართ“... და ასე შემდეგ... ესეც, რომ იცოდეთ, დივერსიასავით „შემოგვიგდეს“ ჩვენმა მტრებმა... მე პირადად ყოველთვის ვამაყობდი და ახლაც ვამაყობ, რომ ქართველად დავიბადე... გადავხედოთ სხვა ქვეყნების მაგალითებს, ისტორიას, უარესები ხდებოდა... ბრძენი მარკუს ავრელიუსი ერთგან ამბობს: „მზად ვარ მაშინვე დავეზავო ჩემს შეურაცხმყოფელთ, როგორც კი შერიგების სურვილს შევატყობ იმათაც..“ ხედავ?.... მით უმეტეს, ჩვენ, ჩვეულებრივმა მოკვდავებმა, ყურად უნდა ვიღოთ ავრელიუსის შეგონება, უნდა დავუზავდეთ, შევურიგდეთ ერთმანეთს და მაშინ ნაღდად გვეშველება!...

* * *

ბოლოს ისიც მითხრა, დიდი ხნის ოცნებას ვისრულებ — „დედა-ენას“ ვასურათებო, თუმცა, კაცი რომ ლუკმა-პურის საშოვრად საათობით რიგებში დგახარ, მერე ია-ია როგორღა უნდა დახატოო... ოცნებად მაქვს სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებების დასურათებაც, თუ მშვიდობა იქნაო... ძაღლის წელიწადი დგება, ძაღლივით ერთგულება გვმართებს ჩვენი დედა-სამშობლოსიო...

ნეტამც, ჩემო იურა!

ვილენ მარდალეიშვილი.

სურათებზე: მხატვარი გიორგი ქლიბაძე, ნიმუშები „დედაენიდან“.

მისი სახელი თაობებს გადაეცემა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ოპერის თეატრმა და მუსიკალურ-კულტურულმა ცენტრმა მოაწყვეს გამოჩენილი დირიჟორის, 1937 წელს უდანაშაულო მსხვერპლის ევგენი მიქელაძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო-კონცერტი.

თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა და ოპერის გუნდმა, სოლისტებმა თეიმურაზ გუგუშვილმა, ლადო ათანელიშვილმა, ლიანა კალმახელიძემ, თამარ კრაწაშვილმა, მარიკა მაღლაფერიძემ, დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ შეასრულეს ის ნაწარმოებები, რომლებიც ყველაზე მეტად უყვარდა დირიჟორს... მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დარბაზის თაღებქვეშ აჟღერდა ფალიაშვილის უკვდავი მელოდიები, ჩაიკოვსკის, ბიზე-შჩედრინის, მალერის ნაწარმოებები. მუსიკისმცოდნე მანანა ახმეტელმა ისაუბრა ევგენი მიქელაძის ტრაგიკულ ცხოვრებასა და შემოქმედებითი მგზნებარებით მდიდარ გზაზე, რომელიც სულის შეძვრამდე მოკლე იყო..

ეს ხსოვნა-კონცერტი მიზნად ისახავდა ევგენი მიქელაძის ლეგენდარული სახელის არდავიწყებას ჩვენთვისა და მომავალი თაობისთვისაც. და რაოდენ სასიამოვნოა, რომ კონცერტის მსმენელებმა ეს კეთილი ჩანაფიქრი სრულყოფილად აღიქვეს და გაითავისეს.

ნინო გაბრიაძე.

საინვესტიციო ფონდი
ცენტრალური საინვესტიციო კომპანია
CENTRAL INVEST COMPANY

მაღალდივიდენდიანი მომგებიანი აქციები მყარი გარანტიით,
მაღალპროფესიონალი ხელხის თამასუქები, სრულყოფილი საფინანსო-საკრედიტო სერვისი,
ვიძლევით კლიენტთა ანონიმურობის სრულ გარანტიას
ერთი აქციის ნომინალური ღირებულება სულ რაღაც 100 000 კუპონია.
აქციების საბაზრო ფასები განუწყვეტლივ მატულობს.

აქციონერთა საყურადღებოდ!
ჩვენი აქციები საუკეთესო საახალწლო საჩუქარია

აქციები გათამაშდება კვარტალში ერთხელ.
გაძლევთ შანსი აქციაში [illegible] თანხის გასამკეცებლად.
გათამაშდება:
ფულადი მოგებები და ძვირფასი საყოფაცხოვრებო ტექნიკა.
აქციათა პაკეტის (ათი აქცია) მფლობელთათვის ყოველი მოგება გაორმაგდება.
წინა გათამაშების შედეგებს და დამატებით ინფორმაციას
მიიღებთ შემდეგ მისამართზე: თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზირი № 154,
ტელ: 96-02-11, 98-33-07, ფაქსი: 98-92-16.

რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა...

გრიშაშვილისეური

(პაროდია-მუნასიბი საახალწლო ბაზარზე, სადაც ჰაერშიც კი გიჟური სიძვირე ტრიალებს).



ახალი წელი ჩამოდგა;
სულის და გულის მდაღვილი.
ბაზარში სავაჭროდ წასულს
ყელში მომაწვა ნაღველი.
ეჰ, მაღაზიის ფასებო,
სად ხართ, დამატკბეთ ბუნებით.
ამივსეთ პირის ყულაბა
ქადებით, ხაჭაპურებით.
მაგრამ სურვილი ვის ესმის,
აქაც და ამას იქითო,


კუკონებს არ ვიღებ!

ყველიანს ვეღარ ვწვდებით და
ლობიანს დავაწექითო.
რას ვივაჭრებ ინდაურს,
ფასით ცხრათავა დევსაო,
ვინ მომაშავა ამდენი
ხილფასის თანამდევსაო.
დახლებზე ოქრო ლივლივებს,
პირდაპირ ნუგბართ ბალია.
აფსუს, რა კარგი ვაშლია,
აფსუს, რამდენი მსხალია!
მინდა ავცილქდე, ვიყიდო,
ფასი განზრახვის კრახია,
მაინც რა კარგი დღე არის,
სოსო, რამდენი ქვაბია!
აქით ფრინველი კრიახობს,
ყველგან ფასების ჭოჭია,
რა ოქროსავით დღე არის,
ჰა-უ-უ-უ-უ, რა ოქროს გოჭია!

ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ქ. საჩხერე.

მხატვარი ბესიკ ზუბაშვილი.

ცეცხლთან თამაში

ეჭვგარეშეა, ვიღაც შეგნებულად ამღვრევს წყალს, მაგრამ ვინ არის ეს „ვიღაც“?

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ მეთაურის აპარატის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ხელმძღვანელი მუშაკების აქტიური ჩარევით ამჯერად მოხერხდა ქვემო ქართლის მოსახლეობის დაშოშმინება, მეტად საშიში ვითარების განმუხტვა. თუმცა, არავინ იცის, რას გვიქადის მომავალი. ამ რეგიონიდან ხომ თითქმის ყოველდღიურად კვლავ ძალზე ამაღელვებელი, საგანგაშო ცნობები მოდის.

ვულკანმა, კარგა ხანია რომ ხრჩოლავდა, ბოლოს და ბოლოს ამოხეთქა. მართლაც, ყოველგვარ მოთმინებას საზღვარი აქვს. სულში რომ ჩააფურთხეს, გაძარცვეს და გაათახსირეს, ადგილობრივი ქართულ-აზერბაიჯანული მოსახლეობის კოალიცია ქუჩაში გამოვიდა, დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა. საწყენია, რომ რეგიონში დესტაბილიზაციისა და ძარცვა-გლეჯის თაოსანთა საკმაოდ გრძელ სიაში, ძირითადად, სვანური გვარ-სახელები გვხვდება. რა მოკლეა ადამიანის მეხსიერება. ქვემო ქართლმა შეიფარა და ლუკმა გაუყო ერთ დროს სტიქიით დაზარალებულ და ბარად ჩამოსახლებულთ..

სასტიკი დაპირისპირება დეკემბრის მეორე ნახევარში დაიწყო. ახალი წლის წინ, ამინდის დათბობის საპირისპიროდ, პოლიტიკურ და კრიმინოგენულ განედზე აცივდა.

გემახსოვრებათ, მარნეულის რაიონის სოფელ დაშტაფაში მომხდარი ამბავი. ეს, ეტყობა, მომდევნო დღეებისთვის ჩაფიქრებულ დანაშაულობათა მთელი კომპლექსის პრელუდია, ხალხის მოთმინების დონის შესასწავლი ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იყო. მაშინ ყაჩაღებმა კარგი გაკვეთილი მიიღეს. ჭკვიანი კაცი მდგომარეობას აწონდაწონიდა, თავისი თანამოძმეების მწარე გამოცდილებას გაიზიარებდა და ერთი კვირით მაინც ჩაწყნარდებოდა. საუბედუროდ, ასე არ მოხდა. არ ვიცი, რა ბზიკმა უკბინათ, წლის ბოლომდე რა გეგმა დარჩათ შესასრულებელი, უკვე 20 დეკემბრიდან სტიქიურ შეტევაზე გადავიდნენ.

დამნაშავეებმა საწყის პუნქტად მარნეულის ცენტრი აირჩიეს. გახსოვთ, უნომრო „ვოლგაში“ მჯდომმა ორმა უცნობმა ბოროტმოქმედმა, სოფელ თამარისის მცხოვრები კახა მანთაშაშვილი თავისსავე „ქიგულში“ სასიკვდილოდ დაჭრეს. მართვადაკარგული ავტომანქანა ფეხით მოსიარულეებს დაეჯახა. „ქიგულის“ პატრონის გარდა, მოქალაქე მოფალ პირიევი დაიღუპა.

მეორე დღესვე, დილით, მარნეულის შესასვლელთან ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა და პროტესტის ნიშნად საავტომობილო გზა გადაკეტა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის **დემურ მიქაძის** ხელმძღვანელობით ჩასულმა ოპერატიულმა ჯგუფმა მოახერხა მოპიკეტეების დარწმუნება და საღამოს ისინი დაიშალნენ.

22 დეკემბერს არეულობა ბოლნისის რაიონსაც მოედო. დაიწყო სასტიკი ანგარიშსწორება. ნახიდურში, გზის პირას „ქიგული“ იდგა. ამ დროს გამოიარა თეთრი ფერის უნომრო ავტომანქანამ, საიდანაც უცნობმა ბოროტმოქმედებმა სროლა ატეხეს, დაიღუპნენ „ქიგულში“ მსხდომნი, ამ სოფლის მცხოვრებლები არიფ მუსტაფაევი და ნასიბ იუსუბოვი, მახმუდ აივაზოვი კი მძიმედ დაიჭრა.

იმავე ღამით, სოფელ არახლოში ადგილობრივმა მოსახლეობამ პიკეტი მოაწყო. დმანისში მცხოვრებ „მხედრიონელს“ მამუკა ჩხვიმიანს, რომელიც უნომრო ავტომანქანით მოდიოდა, მოპიკეტეებმა სროლა აუტეხეს. ის მსუბუქად დაიჭრა და გზა განაგრძო.

მოგვიანებით, იმავე ადგილას, ახალი ტრაგედია დატრიალდა. ამჯერად, მოახლოებულ სატვირთო ავტომანქანას გაუხსნეს ცეცხლი. „მხედრიონის“ წევრი, დმანისელი ბადრი გვარლიანი მოჰკლეს. გუნტურ ვიბლიანი და ამირან აფრასიძე კი დაჭრეს.

განუკითხაობა გრძელდებოდა. მეორე დილით სოფელ ტაშტიკულართან მოწყობილ პიკეტზე ახალი ინციდენტი

ერთად უნდა ვებრძოლოთ

მოხდა — ესროლეს მარნეულის მიმართულებით მიმავალ „ქიგულს“ და აიდინ იუსუბოვი დაჭრეს. ადგილობრივი მოსახლეობა იარაღდებოდა და ქუჩაში გამოდიოდა. გადაიკეტა ავტომაგისტრალი. სიტუაცია თანდათან უკონტროლო ხდებოდა, შეიარაღებული დაპირისპირების, ნამდვილი ომის რეალური საშიშროება იქმნებოდა...

საბედნიეროდ, ღმერთმა გადმოგვხედა. ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ გაჭრა. იმედისმომცემია, აზერბაიჯანული მოსახლეობის კეთილი ნება და შეგნებულობა. „ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკას, როგორმე ეს ბანდიტები მოგვაშორეთ, სხვას არაფერს გთხოვთო“, ამბობდნენ ისინი. აღელვებული ხალხის დაშოშმინებაში დიდი წვლილი შეიტანა ქვემო ქართლის საზოგადოება „გეირათის“ თავმჯდომარემ ალიმარ ასკეროვმა.

ბეწვი გაწყდა — ახალმა უმძიმესმა რეგიონულმა კონფლიქტმა არ იფეთქა. ამჯერად გადავრჩით. თუმცა, საშიშროება კვლავ არის. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ქვეყანას უნდა ავაცილოთ ახალი ტრაგედია. თუმცა, ეს იოლი არ იქნება.

სპეციალისტების აზრით, ქვემო ქართლის მოვლენები საყოველთაოდ ცნობილი რიგითი დანაშაულობები არ არის. უნომრო ავტომანქანები, დღისით, მზისით, გამომწვევად, დემონსტრაციულად დაჰქრიან. ეჭვგარეშეა, ვიღაც შეგნებულად ამღვრევს წყალს, მაგრამ ვინ არის ეს „ვიღაც“, ვის მონატრა ცეცხლთან თამაში?!

* * *

ამ დღეებში თბილისშიც გახშირდა არეულობა: ქობულეთის აღმართზე „მხედრიონის“ წევრების არაადამიანურმა მკვლელობამ უკიდურესად დაძაბა სიტუაცია, ათასი მითქმა-მოთქმის, ტყუილ-მართლის კორიანტელი დააყენა.

ქალაქში შიშმა და გაურკვევლობამ დაისადგურა.

მეტროპოლიტენის სადგურ „ავლაბარში“ ორმა აფეთქებამ ადამიანები ვერ ჩამოაცილა ერთადერთ საქალაქო ტრანსპორტს, მაგრამ გაუღრმავა სასოწარკვეთის გრძნობა, პესიმისტური განწყობილება.

როგორც მეტროპოლიტენის პოლიციის უფროსმა ჰამლეტ კობეშავიძემ თქვა, ავთანდილ ტერტერაშვილმა 1992 წლის გაზაფხულზე დანით მოკლა რუსთაველი მოქალაქე. მას ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და სასჯელს ავჭალის კოლონიაში იხდიდა. იმავე წლის ზაფხულის მიწურულს ის კოლონიიდან გაიქცა და ერთხანს გაჩიანში, საკუთარ აგარაკზე იმალებოდა. შემდეგ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სენაკში წავიდა... პოლიციელმა ხელყუმბარის ჩაბარება რომ მოსთხოვა, იფიქრა, მომაგნეს, ჩავვარდიო და საშინელი დანაშაული ჩაიდინა — ხელყუმბარა ააფეთქა. დაიჭრნენ პოლიციელები, მოქალაქეები, ერთიც დაიღუპა. ტერტერაშვილი ჩვიდმეტი წლისაა. საიდან დაგროვდა ამდენი ბოროტება ახალგაზრდა კაცში?

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ქართული მაფია თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდა — დაიწყო გავლენის სფეროების განაწილებისათვის ბრძოლა. ეს ბრძოლა სასტიკი, ხანგრძლივი და დაუნდობელი იქნება. იმაზე, ბანდიტურ-მაფიოზური კლანები მოახერხებენ თუ არა ქვეყანაში თავიანთი „წესრიგის დამყარებას“, ბევრად იქნება დამოკიდებული პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების უნარიან, ეფექტიან მუშაობაზე. ბოლო დღეებში განხორციელებული რამდენიმე შედეგიანი ოპერაცია იმედის საფუძველს იძლევა. თუმცა, ეს ბრძოლა არ იქნება იოლი და უმტკივნეულო.

რობაქიძის გამზირზე კომერციული ჯიხურის „ასაღებად“ მისული ჯარისკაცები ბესარ მაისურაძე, დავით ტატიშვილი და ლევან დოლიძე პოლიციას ჩაუვარდნენ ხელში. მათ გამოსახსნელად გოჩა ხიზამბარელის მეთაურობით თავდაცვის სამინისტროს სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის ასკაციანი ჯგუფი მივიდა. ის იყო, მართლაც, იერიშით უნდა აეღოთ პირველი ქვეგანყოფილება, რომ პოლიციას დამხმარე ძალა შეემატა. ერთი თანამშრომელი დაიჭრა, მაგრამ მედესანტეებმა ვერ შეძლეს პატიმრების „გამოხსნა“.

ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობის!

ზაურ მაკარაძე.

ხსოვნა

ნიკოლოზ ბექაური

ქართულმა ქიმიურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე ნიკოლოზ გიორგის ძე ბექაური.

დაიბადა 1913 წლის 15 ოქტომბერს, დუშეთის რაიონის სოფ. ფასანაურში. 1939 წელს — ლენინგრადის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ — დატოვეს ასპირანტად ნავთობქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობით. 1940 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, იბრძოდა ჩრდილოეთისა და ბელორუსიის ფრონტებზე. 1943 წელს მძიმედ დაიჭრა. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. 1944 წელს გააგრძელა სწავლა ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1947 წ. ამავე წელს ლენინგრადის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1947 წლიდან 1961 წლამდე ნ. ბექაური მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ნ. ბექაურის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება საქართველოს ნავთობის შესწავლა-გადამუშავება და მიღებული ნავთობპროდუქტების სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოყენება.

ნ. ბექაური 1961 წლიდან, 26 წლის მანძილზე, ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრას.

ნ. ბექაურის ხელმძღვანელობით დაცულია 12 საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორი ნიკოლოზ ბექაური იყო მაღალი დონის პროფესიონალი, სტუდენტთა გულისხმიერი აღმზრდელი, მეტად ჰუმანური ადამიანი, სპეტაკი ზნეობისა და გამორჩეული სიკეთით აღსავსე ჭეშმარიტი მამულიშვილი.

ნ. ბექაური დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

ბატონ ნიკოს სახელი დაუვიწყარი იქნება მისი აღზრდილებისა და თანამშრომელთა გულებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი; ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი; ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრა; ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო.

ლევან ცქიტიშვილი

ორი თვე გავიდა, რაც ოქტომბრის ბოლოს ხობში ექსტრემისტების მომხრეებმა დახვრიტეს 6 მებრძოლი და ჟურნალისტი დავით ბოლქვაძე. დახვრეტილთა შორის იყო ლევან ცქიტიშვილი — სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის შტაბის უფროსი, 24 წლის ვიცე-პოლკოვნიკი. იგი იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში. ყოველთვის იყო იქ, სადაც ყველაზე უფრო უჭირდა საქართველოს.

ლევან ცქიტიშვილი ხელმძღვანელობდა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ ყველაზე ბრძოლისუნარიან სადესანტო-მოიერიშე ბატალიონს, მუყაითად სწავლობდა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ქვეყნის სასიკეთოდ იღვწოდა და ცხოვრობდა.

უკვდავია მისი სახელი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

გიწვევთ კურსებზე
საქართველოს ეროვნულ-საგანმანათლებლო საზოგადოება აცხადებს მიღებას:
1. მკურნალ-მასაჟისტების მოსამზადებელ კურსებზე.
2. საიუველირო საქმის შემსწავლელ კურსებზე.
კურსდამთავრებულებს ენიჭებათ სპეციალისტის ცენზი და ეძლევათ შესაბამისი დიპლომი, რომლითაც მათ შეეძლებათ იმუშაონ უცხოეთშიც.
სწავლა ფასიანია.
მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ:
ვაჟა-ფშაველას გამზირი № 16, XII სართული, 1213 ოთახი
ტელ: 37-96-49, 10 დან 15 სთ-მდე, 37-30-59 10 დან 20 სთ-მდე.

ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საყურადღებოდ!
გთავაზობთ ამერიკული დოლარის შემამოწმებელ მიკროპროცესორულ დეტექტორებს:
SUPERSCAN- 2100 და CASHSCAN- 1800
დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დაგვირეკოთ ტელეფონზე 95-45-94, (10—16 საათამდე).

რომ არ იაროთ ბაზარში,
რომ არ იდგეთ რიგებში,
რომ არ ხარჯოთ ზედმეტი
დრო და ფული
ფირმა «სერვისი»
სახლში მოგართმევთ ნებისმიერ საკვებ პროდუქტს საბაზრო ფასებზე იაფად.
ჩვენი პროდუქტები და ჩვენი მომსახურება ყველასთვის [illegible] საუკეთესო ხარისხისაა.
დაგვირეკეთ და დაგვიბარეთ.
ჩვენი ტელეფონია: 98-22-61

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ოფსეტურ ფორმებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, [illegible] 99.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434